# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 20 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 227 (5828)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## საქართველოს პრეზიდენტის პოსტს ჩემს გარდა სხვას ვერ ვანდობ...



2

## სავარაუდოდ, ცვლილება შეეხება მთავრობის ყველა იმ წევრს, რომელთა რეიტინგიც მეტ-ნაკლებად ცუდ გავლენას ახდენს სააკაშვილის რეიტინგზე



2

## შვიდი ნოემბრის ცხრა აპრილზე



16

## მომიტინგეების დასაშლელად აკუსტიკური იარაღიც გამოიყენეს

*ხელისუფლება სულელურად მოიქცა, ყველა აიმხედრა, ქალაქში ცრემლსადენი გაზი გაუშვა და საზოგადოებრიობა აიძულა, რომ ეს ხელისუფლება 9 აპრილის დროინდელი ხელისუფლებისთვის შეედარებინა*



## ხელისუფლებამ ყელი 7 ნოემბერს გამოიჭრა!

4



*წამების და სასურველი ჩვენების მიცემაში სამინისტროს ცენტრალურ აპარატს აშკარად გაასწრო თბილისის პოლიციის მთავარმა სამმართველომ. ზემდგომი ინსტიტუტის სხვა მეთოდებს იქ დაუმატეს ცოცხალი დათვი, რომელსაც „ურჩი" ეჭვმიტანილების საკანში უშვებდნენ. მართალია, დაგლეჯამდე საქმე არ მისულა, მაგრამ მისი ტორების ანაბეჭდი რამდენიმეს დღემდე შემორჩა*

## დამოუკიდებლობის 17 წელი და 9 შს მინისტრი

7

## საეჭვოა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანი და დემოკრატიული იქნება

„ქართული აკადემია"

3

*ღია წერილი საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს*



## საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ

5-6

## მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

• კობა დავითაშვილი, რომელიც ელიავას ბაზრობაზე თავის ოთხ ვაჟთან ერთად იმყოფებოდა, იმ მაღაზიასთანაც მივიდა, რომელთანაც 7 ნოემბერს თავს დაესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს



◎ საგანგებო ბრიფინგი

## შალვა ნათელაშვილი: საქართველოს პრეზიდენტის პოსტს ჩემს გარდა სხვას ვერ ვანდობ...

**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ოფისში პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი მონაწილეობა დაადასტურა.**



„ერისა და ბერის წინაშე ვაცხადებ, რომ საქართველოს პრეზიდენტობის პოსტზე კენჭს ვიყრი. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ქვეყანა სიბნელეს, ძალადობას, შიშს, სიღატაკეს სამუდამოდ დაემშვიდობოს, სამშობლო თავის ისტორიულ ფესვებს დაუბრუნდეს და ბრწყინვალება აღიდგინოს!" – განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა.

იგი იმედოვნებს, რომ ქართველი ხალხი სააკაშვილისა და მისი გარემოცვის თავიანთ კაბინეტებში ხელახლა „შეძრომას" აღარ დაუშვებს.

„ჩვენმა თანამემამულეებმა 7 ნოემბერს დიდგორის ბრძოლა მოიგეს. ისინი ნამდვილი გმირები არიან, ამ ბრძოლამ საფუძველი დაუდო სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის დაშლას, მათი რეჟიმი ჩვენს თვალწინ ხუხულასავით ინგრევა. ვამაყობ, რომ იმ ხალხის ნაწილი ვარ, რომელმაც ყოველგვარი ბელადების, კერპების და მესიების გარეშე მიაღწია სანატრელ გამარჯვებას", – თქვა შალვა ნათელაშვილმა.

მან დიდი სიმპათია გამოხატა ყველა იმ ოპოზიციური ძალის მიმართ, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა მის კანდიდატურაზე უარი განაცხადა და აცხადებს, რომ ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს – დიქტატორ სააკაშვილს იწვევს ტელედებატებში, რათა ხალხმა კიდევ ერთხელ დაინახოს, სად სინათლეა და სად – სიბნელე.

შალვა ნათელაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების დიდი იმედი აქვს და არ აპირებს ვინმეს სასარგებლოდ საკუთარი კანდიდატურის მოხსნას:

„ჩემი კანდიდატურა არავითარ შემთხვევაში არ მოიხსნება, ყოველ შემთხვევაში პირველ ტურამდე, მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში, თუ ეს საჭირო გახდა, ყველა დაინტერესებულ პოლიტიკურ ძალასთან კონსულტაციებს გავმართავ და...

მე არ შემიძლია საქართველოს პრეზიდენტის პოსტი ჩემს გარდა სხვა ვინმეს ვანდო, რაც უნდა კარგი მეგობარი იყოს ის, რადგან არ ვიცი ვინ რისი გამკეთებელია, ამას ეგოისტობაში ნუ ჩამომართმევთ", – დაასკვნა შალვა ნათელაშვილმა.

ხოლო წინასაარჩევნო კამპანიის თაობაზე მან თქვა, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ იგი 1995 წლიდან დაიწყო, მაშინ როდესაც ავბედითი ავიარეისი, ბორტზე სააკაშვილით ჩამოფრინდა.

**სოფიო გოგლიძე**

◎ ვარაუდები

**საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი უკვე ცნობილია – ვლადიმერ გურგენიძე. რა საკადრო ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მინისტრთა კაბინეტში და ვის მოუწევს მინისტრის სავარძლის დატოვება. ამის შესახებ ინტერპრესნიუსი პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

## რამაზ საყვარელიძე: სავარაუდოდ, ცვლილება შეეხება მთავრობის ყველა იმ წევრს, რომელთა რეიტინგიც მეტ-ნაკლებად ცუდ გავლენას ახდენს სააკაშვილის რეიტინგზე

**– ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებდით პრემიერ-მინისტრის შეცვლის ფაქტს. თქვენი აზრით, შეეხება თუ არა ცვლილება მთავრობის წევრებს?**

– ეს არის არატიპური ნაბიჯი, რამდენადაც სახელმწიფოებში ერთდროულად რამდენიმე საკვანძო ფიგურას არ ცვლიან ხოლმე. პრეზიდენტმა რახან გადადგა ეს ნაბიჯი, ამ ნაბიჯის უკან იკვეთება მკაფიო პოლიტიკური კურსი, დაკავშირებული არჩევნებთან. თუ ვიგულისხმებთ, რომ ეს ნაბიჯი საარჩევნო მოტივაციით გადაიდგა, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ ისიც, რომ პრეზიდენტი ეცდება, სხვა ფიგურებიც შეცვალოს იმ ფიგურებით, რომლებიც მას რეიტინგს აუმაღლებენ. სააკაშვილმა დაიწყო პოლიტიკური მესიჯის გაცემა უკვე დანიშვნების გზით. ანალოგიური რამ გააკეთა გაერთიანებულმა ოპოზიციამ, როცა სალომე ზურაბიშვილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატად წარადგინა. თამაშის ეს წესი აიტაცა სააკაშვილმა და თვითონაც რეალურ ცვლილებებზეც გადაიტანა აქცენტი. თუ რეალურია ეს ინტერპრეტაცია, რაც ამ შემთხვევაში მე გამიჩნდა, მაშინ ცვლილებები მთავრობის სხვა წევრებსაც უნდა შეეხოს. (უკვე შეიცვალა განათლების და მეცნიერებისა და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრები – **რედ.**). სავარაუდოდ, ეს შეეხება ყველა იმ წევრს, რომლის რეიტინგიც მეტ-ნაკლებად ცუდ გავლენას ახდენს სააკაშვილის რეიტინგზე.

**– პრემიერობის კანდიდატი ვლადიმერ გურგენიძე არ არის „თავისუფლების ინსტიტუტის" კადრი, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ პრეზიდენტის გუნდში მოსალოდნელია სერიოზული ცვლილებები?**

– საკმაოდ კარგი შენიშვნაა და საკმაოდ რთული საპასუხოდ. ძნელი საქმელია, რამდენად ერთმნიშვნელოვანია ის, რომ თუ ადამიანი არ არის ფორმალურად იგივე „თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი, ის არ შეიძლებოდა ყოფილიყო



„თავისუფლების ინსტიტუტის" კანდიდატი. შეიძლება, „თავისუფლების ინსტიტუტის" პოლიტიკურ კურსში დევს სწორედ ის, რაზეც მოგახსენებდით, ანუ იმ ფიგურების შეცვლა, რომლებიც პრეზიდენტის რეიტინგის ამაღლებას შეუწყობენ ხელს. „თავისუფლების ინსტიტუტმა" პრეზიდენტი რომ დაკარგოს, ანუ სააკაშვილმა რომ ვერ გაიმარჯვოს არჩევნებში, აქ უკვე მისი ბედიც ეჭვქვეშ დადგება. ამდენად, დღეს „თავისუფლების ინსტიტუტის" ნომერ პირველი ამოცანა პრეზიდენტის გამარჯვებაა და არა პრეზიდენტის გარემოცვაში უალტერნატივოდ ყოფნა.

**– ბოლო დღეებში პრეზიდენტმა არაერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს ახალი მთავრობა სოციალურად ორიენტირებულ პოლიტიკას გაატარებს. პრეზიდენტი ენერგიულობით ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი განსაკუთრებით გააქტიურდა, პრაქტიკულად, დაიწყო საარჩევნო კამპანია, შეხვდა პედაგოგებს, მედიკოსებს და საინტერესო ინიციატივებითაც გამოვიდა. ამ ფონზე რა შანსები აქვს ოპოზიციას 5 იანვრის არჩევნებში?**

– პრეზიდენტის მიერ გადადგმული ნაბიჯები სწორედ ოპოზიციის შანსების შემცირებას ემსახურება, მაგრამ არის მეორე ფაქტორი, რისი იმედიც ალბათ აქვს ოპოზიციას. ძალიან დიდია იმის ალბათობაც, რომ ეს ნაბიჯები მოსახლეობამ აღიქვას, როგორც პოლიტიკური ინტერესებით გადადგმული ნაბიჯები, არ დაიჯეროს, რომ ეს იქნება ხელისუფლების მუდმივი პოლიტიკა და აღიქვას იგი, როგორც დღეს მისაღები კვერცხი. ამ კვერცხიდან ქათამი გამოიჩეკება თუ არა, ეს სამომავლოდ გამოჩნდება. ხალხი უპირატესობას მისცემს პრეზიდენტობის იმ კანდიდატს, რომელსაც ენდობა. ჩემთვის არჩევნებზე ხელისუფლებისა და ოპოზიციის შანსები ორმოცდაათიორმოცდაათზეა.

**კობა ბენდელიანი,**
**ინტერპრესნიუსი**

◎ გაერთიანებული ოპოზიცია

## სალარო-აპარატებთან ერთად ხელისუფლებაც გაქრება



**გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნული საბჭოს საპრეზიდენტო კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე, აგრეთვე, კობა დავითაშვილი და ჯონდი ბაღათურია გუშინ ელიავას ბაზრობაზე მოვაჭრეებს შეხვდნენ.**

ოპოზიციის ლიდერებმა მოვაჭრეებს სალარო-აპარატების გამოყენების ვალდებულების გაუქმება მიულოცეს და 5 იანვრის საპრეზიდეტნო არჩევნებში გაჩეჩილაძისთვის ხმის მიცემისკენ მოუწოდეს.

– ჩვენ ამ ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ. ჩვენ ხალხს დავასაქმებთ, შევცვლით კონსტიტუციას, მივიღებთ თავისუფალ სასამართლოს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს თავისუფალ ნებას დავუბრუნებთ, – აღნიშნა ლევან გაჩეჩილაძემ.

მისივე თქმით, ელიავას ბაზრობაზე დღევანდელი არა წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისი, არამედ დავითაშვილისა და ბაღათურიას ინიციატივით, ამომრჩევლებთან რიგითი შეხვედრაა.

– მინდოდა, აქ მომუშავე ადამიანებისთვის სალარო-აპარატების გაქრობა მიმელოცა. ახლა ხელისუფლება გაქრება, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

კობა დავითაშვილი კი, რომელიც ელიავას ბაზრობაზე თავის ოთხ ვაჟთან ერთად იმყოფებოდა, იმ მაღაზიასთანაც მივიდა, რომელთანაც 7 ნოემბერს თავს დაესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მაღაზია ამ დროისთვის დაკეტილია.

როგორც კობა დავითაშვილმა განაცხადა, ამ მაღაზიის პატრონი ოპოზიციას გენერატორს ჩუქნიდა, სწორედ ამის გამო მას ფიზიკურად გაუსწორდნენ და დღეს სამი ნაკერი ადევს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ბოლომდე იბრძოლებენ

## ახალი მემარჯვენეები კანდიდატურას არავის სასარგებლოდ არ მოხსნიან

**ახალი მემარჯვენეები აცხადებენ, რომ მათი მიზანი საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის დამარცხებაა და ისინი კანდიდატურის მოხსნას არავის სასარგებლოდ არ აპირებენ.**

როგორც გუშინ საგანგებო ბრიფინგზე ახალი მემარჯვენეების წარმომადგენელმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ისინი კანდიდატურის მოხსნას აპირებენ.

მისი თქმით, ახალი მემარჯვენეები საპრეზიდენტო არჩევნებში იბრძოლებენ პრეზიდენტის დასამარცხებლად და თუ საჭირო გახდა მეორე ტურის ჩატარება, მაშინ ისინი მხარს დაუჭერენ ოპოზიციის კანდიდატს.

ახალი მემარჯვენეები აცხადებენ, რომ ისინი ქვეყანაში საპრეზიდენტო მმართველობის შეცვლის მომხრენი არიან და საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ამ ცვლილებას უსათუოდ გაატარებენ.

– მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ არ ვაპირებთ საპრეზიდენტო მმართველობის ფორმის შეარჩუნებას. ჩვენ უსათუოდ შევცვლით კონსტიტუციას, მაგრამ არჩევანის გაკეთების საშუალებას ხალხს მივანდობთ. როგორი უნდა იყოს ქვეყნის მოწყობა, ეს იქნება საპარლამენტო რესპუბლიკა თუ კონსტიტუციური მონარქია თუ კიდევ სხვა რამე ფორმა, ეს მოსახლეობამ რეფერენდუმით უნდა გადაწყვიტოს, – განაცხადა ჩიხრაძემ.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ თავად მემარჯვენეები იზიარებენ პატრიარქის არჩევანს და მხარს უჭერენ ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიული წყობის დამყარებას.

**ინტერპრესნიუსი**

№ 227. სამშაბათი, 20 ნოემბერი, 2007 წელი.

# აღმდგარი ქვეყანა

**კონსტიტუციური დარღვევების, სამართლებრივი ქაოსის, ხელოვნურად შექმნილი ცაიტნოტისა და მასმედიის დათრგუნვის პირობებში წამოწყებული წინასაარჩევნო პროცედურები საეჭვოს ხდის, რომ 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანი, ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული იქნება**



**„ქართული აკადემია“**

# საეჭვოა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანი და დემოკრატიული იქნება

## ღია წერილი საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს

***„ქართული აკადემია“ მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2008 წლის 5 იანვარს დანიშნული არჩევნები ვერ იქნება დემოკრატიული, ვერ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოხატვას და ემსახურება სააკაშვილის მიერ ძალაუფლების შენარჩუნება-გახანგრძლივებას.***

***ამ განცხადების საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები:***

● 2004 წელს, თავისი ინაუგურაციის 12 დღის თავზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების კონსტიტუციურ მექანიზმში შეიტანა არსებითი ხასიათის ცვლილებები: არჩევნების პირველ ტურში ამოღებულია უფლებამოსილების ნორმა – ამომრჩეველთა უმრავლესობის სავალდებულო მონაწილეობა, ხოლო მეორე ტურში – ამომრჩეველთა მესამედის სავალდებულო მონაწილეობა. მას შემდეგ ტრადიციად ჩამოყალიბდა კონსტიტუციური ცვლილებების თვითნებურად, კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით მიღება.

● ერთი თვის წინათ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ საარჩევნო სიების დაზუსტება-სრულყოფა მხოლოდ 2008 წლის შემოდგომისათვის იქნება შესაძლებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები ძველი, არასწორი, „მკვდარი სულებით“ სავსე სიებით ჩატარდება. ასეთი არარეალური სიები და ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებები ჯამში მოქმედი პრეზიდენტისათვის გამარჯვების დამატებითი საგარანტიო პირობაა.

● სადღეისოდ ყველაზე არსებითი მნიშვნელობა მაინც იმას აქვს, რომ პრეზიდენტმა საკონსტიტუციო მოთხოვნის უგულებელყოფით, თვითნებურად ისე დანიშნა საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი (2008 წლის 5 იანვარი), რომ განცხადება გადადგომის შესახებ არ გაუკეთებია. ამასთანავე, სააკაშვილმა, ფაქტობრივად, იმ დღიდანვე დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია, მაშინ, როცა ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისა და მასმედიის მუშაობის შეზღუდვის პირობებში მის ოპონენტებს არ ჰქონდათ ამის საშუალება.

● პრეზიდეტის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად უნდა აღვიქვათ მისი მორიგი სვლა – კონსტიტუციურ მოთხოვნათა დარღვევით პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირება.

მთავრობის შეცვლის ტექნოლოგიური პროცესი რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 80). იგი მრავალსაფეხურიანი პროცესია და იწყება მთავრობის უფლებამოსილების მოხსნით. ამის შემდეგ კი, წესით:

ა) საქართველოს პრეზიდენტი 7 დღის განმავლობაში კონსულტაციების გზით შეარჩევს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას;

ბ) პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი პრეზიდენტთან შეთანხმებით 10 დღის ვადაში წარმოადგენს მთავრობის წევრთა კანდიდატურებს;

გ) ამის შემდეგ 3 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად (პუნქტი 2);

დ) პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს;

ე) მთავრობის წევრები უნდა დაინიშნონ ნდობის გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში (პუნქტი 3).

ასე რომ, მთავრობის შემადგენლობის განახლება მოიცავს 5 თანამიმდევრულ ეტაპს, რომლის რეგლამენტაცია განსაზღვრულია 30 დღის ფარგლებში, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს პრეზიდენტის გადადგომისა და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის თარიღებთან.

● როცა პრეზიდენტი იღებს მთავრობის გადადგომას, კონსტიტუციის მიხედვით, მას შეუძლია იმავე მთავრობას დააკისროს მოვალეობის შესრულება (მუხლი 80-1), თუმცა ეს საშუალება სააკაშვილს არ გამოუყენებია. შედეგად, მთელი ეს პროცესი უმკაცრეს ცაიტნოტშია მოქცეული: 17-18 ნოემბერი შაბათი-კვირა იყო. ამდენად, 22 ნოემბრამდე (პრეზიდენტის გადადგომამდე) სულ 3 სამუშაო დღეა, რაც ზემოაღნიშნული პროცედურისათვის სრულებით არ არის საკმარისი.

● ცხადია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ძველ თუ ახალ პრეზიდენტს ხელახლა მოუწევს იმავე პროცედურის ჩატარება და, ამდენად, მთელი ამ „სპექტაკლის“ ნახვა თავიდან მოგვიწევს (მუხლი 80-1). ყოველივე ეს კი უპრეცედენტოა კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში – **გადამდგარი პრეზიდენტი ერთი თვით ტოვებს ახალდანიშნულ მთავრობას!**

● აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი ლ. გურგენიძე ასეთ მოკლე ვადაში ვერ შეძლებს ახალი სამთავრობო გუნდის ფორმირებას და ეს „ახალი“ მთავრობა ფაქტობრივად იმავე შემადგენლობისა იქნება ზოგიერთი ოდიოზური ფიგურის გამოკლებით.

● როგორც ვხედავთ, საქართველოს პრეზიდენტი აგრძელებს არაკონსტიტუციურ, თვითნებურ კურსს და მთელი ეს პროცესი მან საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად აქცია. რომ არა მისი ბრმადმორჩილი, ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობა, საქართველოს პრეზიდენტი, დიდი ხანია კონსტიტუციის მრავალჯერადი დარღვევების გამო იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას იმსახურებს.

● განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს მედია-სივრცეში შექმნილ ვითარებას. მართალია, ალდგა ტელეკომპანია „კავკასიის“ მაუწყებლობა, მაგრამ, ჯერ ერთი, იგი მაუწყებლობს მხოლოდ თბილისის მასშტაბით და, რაც მთავარია, მარტოდმარტო ვერ გაუწევს სერიოზულ კონკურენციას მთავრობის მიერ კონტროლირებულ 4 მძლავრ ტელეკომპანიას (ე. წ. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „რუსთავი-2“, „მზე“ და აჭარის ტელევიზია). რაც შეეხება მაღალრეიტინგულ ტელეკომპანია „იმედის“ ბარბაროსულ დარბევასა და დახურვას, ეს ფაქტი, პირველ რიგში, ემსახურება მიხეილ სააკაშვილისა და მისი მმართველი გუნდისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი საარჩევნო პირობების შექმნას, სიმართლის დამალვასა და ოპოზიციური აზრის დათრგუნვას. ვინაიდან „იმედის“ მაუწყებლობა ფარავს მთელი საქართველოს ტერიტორიას, მისი აღდგენისა და სრულფასოვანი ფუნქციონირების გარეშე, ჩვენი აზრით, შეუძლებელი იქნება პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის თანასწორი საკონკურენციო გარემოს შექმნა.

ზემოაღნიშნული კონსტიტუციური დარღვევების, სამართლებრივი ქაოსის, ხელოვნურად შექმნილი ცაიტნოტისა და მასმედიის დათრგუნვის პირობებში წამოწყებული წინასაარჩევნო პროცედურები საეჭვოს ხდის, რომ 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანი, ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული იქნება. ჩვენი სურვილია, რომ დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებმა და ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა **ამთავითვე** შესაბამისი შეფასება მისცენ აღნიშნულ დარღვევებს, რითაც ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევენ ჭეშმარიტად დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს.

**„ქართული აკადემია“**

№ 227. სამშაბათი, 20 ნოემბერი, 2007 წელი.

**განსჯა**

# აუცილებელია, 5 იანვარს ქართულმა სახელმწიფომ გამოცდა წარმატებით ჩააბაროს

***ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენებით ზიანი არა რომელიმე პოლიტიკურ ძალას, არამედ ქვეყანას მიადგა და აუცილებელია 5 იანვრისთვის ქართულმა სახელმწიფომ გამოცდა წარმატებულად ჩააბაროს. ამ მხრივ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ხელისუფლებაზე მოდის, რათა არჩევნებისთვის მისი შანსი ნულს არ გაუტოლდეს, – აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში სტრატეგიული განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი ანდრო ბარნოვი. ექსპერტი იმედოვნებს, რომ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება და აღნიშნულის გარანტად მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირებელს მიიჩნევს.***

**– უცხოელ დამკვირვებელთა დადებითი დასკვნების მიუხედავად, მრავალ სახელმწიფოში მოსახლეობა და ოპოზიციური პარტიები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით. გვაქვს გარანტია, რომ საქართველო გამონაკლისი აღმოჩნდება?**

– პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლებისგან განსხვავებით ოპოზიციას დღემდე საარჩევნო კამპანიის დაწყების შანსი არ მისცემია. ხელისუფლებამ ვადამდე აითვისა საეთერო სივრცე და კარგა ხანია საარჩევნო კამპანია წამოიწყო. ოპოზიცია ჯერ არ ჩანს, ობიექტურ მიზეზთა გამო მათ ტელევიზიით გამოჩენა არ შეეძლოთ.

**– როგორია ხელისუფლებისა და ოპოზიციის საარჩევნო შანსები?**

– არჩევნებში ოპოზიციას შანსი მაშინ ექნება, თუ კონსოლიდაციას მოახერხებს და ერთი კანდიდატი ეყოლება. ამ ეტაპზე რეალური პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. მომხდარის მიუხედავად, ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს შანსი, რადგან ხალხი მომთმენია. მთავარია, დარჩენილი თვენახევრის განმავლობაში ხელისუფლება როგორ მოიქცევა. თუ დათმობაზე წავა, საზოგადოების მიმართ შემწყნარებლური გახდება, მისი შანსი გაიზრდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაა გამორიცხული, იანვრისთვის ხელისუფლების შანსები ნულს გაუტოლდეს.

**– რა შეფასებას მისცემდით 7 ნოემბერს განვითარებულ მოვლენებს?**

– 7 ნოემბერს ძალის გადამეტებული გამოყენება მოხდა. განსაკუთრებით დილით, როცა მოშიმშილეების აყრა დაიწყეს. უკვე მოგვიანებით აქციის დარბევას უშუალოდ შევესწარი. იქვე ვიდექი და მოვლენებს ვაკვირდებოდი. დიდი შეცდომა იყო, რომ ლეიბორისტები ქუჩის გადაკეტვისკენ მოუწოდებდნენ ხალხს. ამ დროს კი ამის საჭიროება არ ყოფილა. ეს პროვოკაცია იყო. ამით ხელისუფლებას ლეგიტიმური ზომების გამოყენებისთვის რეალური საბაბი მისცეს. თუ მართლაც ამის გამო მოხდა ძალის გამოყენება და ეს დადასტურდება, გამოდის, ლეიბორისტები პროვოკაციულად მოიქცნენ. თუმცა ამგვარი რთული სიტუაციის მიუხედავად, ხელისუფლების საქციელი გაუმართლებელია, მათ მოთმინება უნდა გამოეჩინათ, რათა მოვლენები დიალოგის გზით წარმართულიყო.



ამით მხოლოდ საქართველო დაზარალდა. მომხდარში კონკრეტული ძალის პროვოკაციას ვხედავ და ხალხს ვერაფერს დავაბრალებ. საზოგადოება მართლაც აღელვებული იყო, როცა დილით ხელისუფლების მიერ მოშიმშილეთა დარბევა იხილა.

**– ხელისუფლების მიერ ტელეკომპანია „იმედის“ დაინტერესებულ მხარედ გამოცხადება რამდენად ამართლებს ამ ტელევიზიის მაუწყებლობის შეჩერებას?**

– თუ ტელეკომპანია „იმედი“ მართლაც დარღვევებით ფუნქციონირებდა, პრობლემის მოგვარება დარბევის გარეშეც შეიძლებოდა. ტელევიზიის მიმართ ძალის გადამეტება ზედმეტად მიმაჩნია, მით უფრო, დარბევას არ ვამართლებ. ტელეკომპანიის მიმართ სხვა ბერკეტებიც არსებობდა, ვგულისხმობ ისეთ საშუალებას, როგორიცაა ტელეკომპანიისთვის მითითების მიცემა. ამის გაკეთება საგანგებო მდგომარეობამდეც შეიძლებოდა.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე,**
**„ჯი-ეიჩ-ენი“**

# ადუღებული დრო

**ხელისუფლება სულელურად მოიქცა, ყველა აიმხედრა, ქალაქში ცრემლსადენი გაზი გაუშვა და საზოგადოებრიობა აიძულა, რომ ეს ხელისუფლება 9 აპრილის დროინდელი ხელისუფლებისათვის შეედარებინა**



## კომპეტენტური აზრი

# შალვა ფიჩხაძე: ხელისუფლებამ ყელი 7 ნოემბერს გამოიჭრა!

*პრეზიდენტმა ხელისუფლების დემოკრატიული გზით შენარჩუნების შანსი ხელიდან არ გაუშვა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა. ასე რომ, ხელისუფლებისთვის ბრძოლამ ქუჩის აქციებიდან საარჩევნო ურნებთან გადაინაცვლა. საპრეზიდენო კანდიდატებს მომზადებისთვის ძალზე ცოტა დრო აქვთ. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რაც ბევრი კანდიდატი იქნება, მით უფრო აიწევს კონკურენციის დონე და დემოკრატიულობის ხარისხი მნიშვნელოვნად გამყარდება.*

*ვადამდელი არჩევნების დანიშვნამ რამდენად განმუხტა სიტუაცია? რამდენად რეალური იყო ოპოზიციის მიერ ხელისუფლების დამხობის მცდელობის ალბათობა? ბოლო მოვლენებმა საქართველოს ნატოში გაწევრიანებას რამდენად შეუქმნა საფრთხე? ამ ზედასხვა მნიშვნელოვან თემაზე პოლიტოლოგ შალვა ფიჩხაძეს ვესაუბრეთ:*

**— ბოლო მოვლენებში პასუხისმგებლობა რომელ მხარეს ეკისრება?**

— ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ორივე მხარეს ეკისრება, მაგრამ ხელისუფლების პასუხისმგებლობა განუზომლად უფრო მაღალია, რადგან მას ასეთი ვითარების განმუხტვის გაცილებით მეტი და უფრო ქმედითი ბერკეტები აქვს. საერთოდ, ამ მოვლენებში დიდ პასუხისმგებლობას ოპოზიციას ნუ დავაკისრებთ. სიმართლე გითხრათ, ეს აქცია თავიდანვე არ მომწონდა. უპირველეს ყოვლისა, არ მომეწონა ის, რომ რაციონალური მოთხოვნების შემდეგ, რომელიც საგურამოს მანიფესტში იყო მოცემული, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა გაჩნდა. ეს მოთხოვნა უფრო გამართლებული იქნებოდა, თუ ოპოზიცია ხელისუფლებას მეტ დროს მისცემდა. ვფიქრობ, რეგიონებიდან დიდი რაოდენობით ხალხის ჩამოყვანა რევოლუციურ რეჟიმში მუშაობას უფრო ჰგავდა, ვიდრე მოლაპარაკების სურვილს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ის უნდა გაეკეთებინა, რაც ჩაიდინა. ხელისუფლების ქმედებას არანაირი გამართლება არა აქვს.

**— პრეზიდენტი დათმობაზე მხოლოდ აქციის დაშლის შემდეგ წავიდა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა, ამ გადაწყვეტილებამ განმუხტა თუ არა ეს სიტუაცია და რამდენად ადეკვატური იყო ეს ნაბიჯი?**

— ჩემი აზრით, ხელისუფლების მოქმედება აბსოლუტურად მცდარი იყო. ამ ნაბიჯით მან სიტუაცია კი არ განმუხტა, არამედ ყველა გადაიმტერა, ვისი გადამტერებაც შეეძლო და შემდეგ დათმო. მართალია ჩემთვის მიუღებელი იქნებოდა, მაგრამ ხელისუფლების მოქმედება ლოგიკის ჩარჩოებში ჩაჯდებოდა, თუ ის აქციას დაშლიდა, მაგრამ დათმობაზე მაინც არ წავიდოდა. ხელისუფლება სულელურად მოიქცა, ყველა აიმხედრა, ქალაქში ცრემლსადენი გაზი გაუშვა და საზოგადოებრიობა აიძულა, რომ ეს ხელისუფლება 9 აპრილის დროინდელი ხელისუფლებისათვის შეედარებინა და შემდეგ დათმო. ამ ხელისუფლებას ახლა არჩევნებში გამარჯვების გაცილებით ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე ასეთ დათმობაზე დროზე რომ წასულიყო.

**— ხელისუფლებამ ერთიან ეროვნულ საბჭოს ხელისუფლების დამხობის მცდელობაში დასდო ბრალი. რამდენად რეალური იყო ამის ალბათობა?**

— ამის ალბათობა ვერც იმ გამოქვეყნებულ სატელეფონო საუბრებში დავინახე, იმიტომ რომ ეს ხელისუფლების აბსოლუტურად უსუსური არგუმენტი იყო. ასევე უსუსურია ის ბრალდებები, რომელიც ტელეკომპანია „იმედის" წინააღმდეგაა გამოთქმული. ვერ გეტყვით, ხელისუფლების დამხობის გეგმა მართლაც იყო თუ არა. ერთი მხრივ, თუ ასეთი გეგმა იყო, მაშინ ხელისუფლებამ უფრო სერიოზული და არა ასეთი სასაცილო არგუმენტები უნდა წარმოადგინოს, რომ უცხოეთი და ქართველი ხალხი საკუთარ მართებულობაში დაარწმუნოს. მეორე მხრივ, ნებისმიერი ხელისუფლებისგან რუსეთზე ყველაფრის გადაბრალება იმდენად ფართოდ გავრცელებულ ფანდად იქცა, რომ ეს დაახლოებით იმ მწყემსს ჰგავს, მგელი, მგელიო ტყუილად რომ იძახდა და მგელი მართლა რომ მოვიდა, არავინ დაიჯერა. ასეთი გრძნობა მაქვს.

**— ამ მოვლენებმა აჩვენა, რომ საზოგადოებრიობა პრეზიდენტისა და ხელისუფლების მოქმედებით უკმაყოფილოა. მიხეილ სააკაშვილს აქვს იმის რესურსი, რომ რეიტინგი აღიდგინოს და შეინარჩუნოს კიდეც?**

— ჩემი აზრით, მას რეიტინგის აღდგენის არავითარი შანსი არა აქვს. მიხეილ სააკაშვილმა მხოლოდ საკუთარ რეიტინგს კი არ შეუქმნა საფრთხე, არამედ სახელმწიფოს რეიტინგიც დასცა. ჩვენ საშუალება გვაქვს, რომ ყველაზე გავლენიანი უცხოური პრესის განწყობას ინტერნეტით გავეცნოთ. ეს ისეთი გავლენიანი პრესაა, რომელშიც გამოქვეყნებული სტატიები და სარედაქციო მასალები უკვე ვერდიქტი და განაჩენია. საქართველოში მცხოვრებ უცხოელებთან და ელჩებთან საუბრის შესაძლებლობა მაქვს და ისინი არათუ ხელისუფლებაზე, არამედ საქართველოზე სვამენ კითხვის ნიშანს. ისინი ასე მსჯელობენ: არის კი საქართველო ის ქვეყანა, რომელიც მათი ყურადღების ღირსია? და ქვეყნისადმი დამოკიდებულების გადახედვასაც ვარაუდობენ. თუ ასე მოხდა, ეს ქვეყნისთვის კატასტროფაა. ასე რომ, ამ შემთხვევაში ხელისუფლების ბედ-იღბალი საერთოდ არ მაინტერესებს. ჩემი აზრით, ამ ხელისუფლებამ ყელი 7 ნოემბერს გამოიჭრა. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მან ქვეყანასაც ხომ არ გამოსჭრა ყელი?

**— საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მოსამზადებლად კანდიდატებს ძალზე ცოტა დრო აქვთ. იქნება მათ შორის მძაფრი კონკურენცია და რამდენად დემოკრატიული არჩევნები გაიმართება. როგორია თქვენი პროგნოზი?**

— ჩემი აზრით, არჩევნების დემოკრატიულობაში ძალზე დიდი ეჭვი გაჩნდება, თუ ხელისუფლებისგან ტელეკომპანია „იმედი" არ გაიხსნება. თუ ასე არ მოხდა და არჩევნები ასეთ პირობებში ჩატარდება, როგორც საზოგადოებრიობაში, ისე უცხოელ დამკვირვებლებში სერიოზული ეჭვები გაჩნდება იმის თაობაზე, რამდენად სამართლიანი, თავისუფალი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იყო ეს არჩევნები. კონკრეტული გარემო დამოუკიდებელი ტელეკომპანიის მუშაობის გარეშე ვერ შეიქმნება. მართალია ხელისუფლებამ „კავკასია" გახსნა, მაგრამ „იმედი" თუ არ ამუშავდა, ჯანსაღ კონკურენციას ვერ მივაღწევთ. ვფიქრობ, საარჩევნოდ რაც უფრო მეტი კანდიდატი იქნება, მით უფრო კონკურენტული ბრძოლა გაიმართება პირველ ტურში და მეორე ტურის გამართვის დიდი შანსი გაჩნდება. ჩემი აზრით, მეორე ტურის გამართვა კარგია, რადგან ეს ამ ხელისუფლების გამარჯვების შანსებს ძალზე შეამცირებს. თუ ერთი კანდიდატი იქნება, ხელისუფლებას დიდი შანსი აქვს, რომ 50 პროცენტზე მეტი მიიღოს, მაგრამ ბევრი კონკურენტის შემთხვევაში, ხელისუფლებას გამარჯვების შანსი მნიშვნელოვნად შეუმცირდება. ჩემთვის საუკეთესო ვარიანტი ხელისუფლების პირველივე ტურში დამარცხება იქნებოდა. ვფიქრობ, რომ ეს შეიძლება არც მოხდეს, მაგრამ თუ არჩევნების მეორე ტური გაიმართება, მასში სახელისუფლებო კანდიდატი დამარცხდება.

**— ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა საქართველოში მიმდინარე მოვლენები უარყოფითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ეს ქმედებები „ევროატლანტიკურ ღირებულებებს არ შეესაბამება". ამ მოვლენებმა ნატოში საქართველოს ინტეგრაციას რამდენად შეუქმნა საფრთხე? ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების რეალური შანსი ხომ არ დავკარგეთ?**

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ ხელისუფლების არსებობის პირობებში დასავლეთმა შეიძლება ზურგი შეგვაქციოს, რადგან ამ რეჟიმმა მორალური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად დაკარგა. მიხეილ სააკაშვილს დემოკრატის იმიჯი ჰქონდა და ოპოზიცია ცდილობდა დასავლეთის დარწმუნებას იმაში, რომ ეს ასე არ არის. მას ეხლა დიქტატორის იმიჯი აქვს და დასავლეთისთვის თავად მოუწევს ამის უარყოფა. ჩემი აზრით, მას საკუთარი მოქმედებისა და გარემოცვის გამო, ეს გაუჭირდება. ვფიქრობ, რომ ეს ხელისუფლება ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების თვალსაზრისით საქართველოს ბევრ ველარაფერს მოუტანს. ამ ხელისუფლებამ გააკეთა ის, რაზეც რუსეთი დიდი ხანია ოცნებობდა და ჯერჯერობით ვერ მიაღწია. მან საქართველო დასავლეთს მნიშვნელოვნად დააშორა და იქ არა ხელისუფლების, არამედ ქვეყნის პროდასავლურობის თაობაზე ეჭვი გააჩინა.

**— რუსეთის ინტერესებში საქართველოს ნატოში გაწევრიანება არ შედის და ამას არც მალავს. მოსალოდნელია თუ არა მისგან საქართველოში დესტაბილიზაციის მცდელობა, რამაც შეიძლება საქართველოს ნატოში გაწევრიანება ეჭვქვეშ დააყენოს და ეს პროცესი გააჭიანუროს?**

— რუსეთის ინტერესებში საერთოდ საქართველოს სიკეთე არ შედის. ჩემი აზრით, ამ ხელისუფლებამ რუსეთის საქმე უკვე გააკეთა, ამიტომ რუსები ახლა სიამოვნებით ხელებს იფშვნეტენ. რუსეთს საქართველოში გასაკეთებელი ბევრი აღარაფერი დარჩა. სანამ საქართველო ნორმალური, ცივილიზებული და დემოკრატიული ქვეყნის იმიჯს დაიბრუნებს, რუსებს შეუძლიათ მშვიდად იძინონ. ბოლო მოვლენების გამო ეს საქართველოსთვის ადვილი არ იქნება. ნუ ვფიქრობთ, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ეხლა რაღაც განსაკუთრებული ხდება. რუსეთ-საქართველოს შორის ჯაშუშებიც იყვნენ, პანკისის ხეობის ცნობილი ამბებიც იყო, ბლოკადებიც იყო, სოხუმის წართმევაც და საქართველოს ბევრჯერ დაბომბვაც და მისგან ასეთი რამ არც მომავალში გამოირიცხება. ასე რომ, რუსეთისგან ასეთი ქმედებები არ უნდა გაგვიკვირდეს.

ესაუბრა
**მაია ხორგუაშვილი**

## აქტუალური თემა

# პრეზიდენტობა ბევრს ნდომებია

**ამბობენ, შალვა ნათელაშვილი აიძულეს, გაერთიანებულ ოპოზიციას ცალკე გამოყოფოდა და ხმების გაყოფის მიზნით, საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა, რის სანაცვლოდაც ჰპირდებოდნენ, რომ არ დაიჭერდნენო.**

ნაკლებსავარაუდოა, რომ ეს ინფორმაცია სინამდვილესთან ახლოს იყოს, მით უმეტეს, გავრცელებული ხმებით, ლეიბორისტებმა ეროვნულ საბჭოს საპრეზიდენტო კანდიდატად იმთავითვე ნათელაშვილი შესავაზეს, ეროვნულმა საბჭომ კი ეს წინადადება არ მიიღო. უფრო სწორედ, ამბობენ, რომ ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებმა ნათელაშვილს შესთავაზეს, მონაწილეობა მიეღო კანდიდატის გამოვლენის იმ პროცედურაში, რომელშიც სხვები მონაწილეობდნენ, მაგრამ უარი მიიღეს — ლეიბორისტები უპირობოდ მოითხოვდნენ პრეზიდენტობის კანდიდატად ნათელაშვილის დასახელებას, იმ მოტივით, რომ ნათელაშვილს რეპრესიები ემუქრება და საპრეზიდენტო კანდიდატი ის უნდა იყოსო.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ეროვნული — ზვიადისტურად ცნობილი ძალებიც წამოაყენებენ თავიანთ კანდიდატურას. კანდიდატურას დააყენებს ირაკლი წერეთელიც. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძეც. პარტია „იმედის" მიერ საკუთარი კანდიდატის დასახელებას არ გამორიცხავს ირინა სარიშვილიც. პრეზიდენტობის კანდიდატობა კვლავაც სურს ქართლოს ღარიბაშვილს.

ისეთი სურათი გამოიკვეთა, რომ შესაძლოა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მადა სხვებსაც გაეხსნას. რაც მეტი კანდიდატი იქნება ოპოზიციიდან, ბუნებრივია, მით უფრო მეტ ხმას წაართმევენ ერთმანეთს. სხვათა შორის, დავით გამყრელიძე თავის დროზე ოპოზიციის გაერთიანებასთან დაკავშირებით აცხადებდა, არ შეიძლება ზეთის და წყლის გაერთიანებაო.

საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ოპოზიციას მთლიანად გამყრელიძისთვის რომ დაეჭირა მხარი, შეიძლება მეტი შანსი ჰქონოდათ. თუმცა, ეს თუნდაც იმიტომ არ მოხდებოდა, რომ გამყრელიძე საერთო ოპოზიციურ ქმედებებში მონაწილეობას არ იღებდა. მას საკუთარი გზა აქვს არჩეული და საკუთარი კანდიდატურაც ეროვნულ საბჭოსთან კონსულტაციის გარეშე წამოაყენა.

არის აზრი, რომ თუ მემარჯვენეები მოსახლეობამდე იმის მიტანას მოახერხებენ, რომ ხელისუფლებაში მემარჯვენე ორიენტაციის ხალხის მოსვლაა საჭირო, მაშინ დავით გამყრელიძე, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს, პერსპექტივა აქვს. თუმცა, კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ გამყრელიძე ვერ იქნება ქართველი ამომრჩევლის დიდი მასის რჩეული, თუნდაც იმიტომ, რომ... სულ ჰალსტუხით დადის. ანუ, არ ხდება ჩვენს საზოგადოებაში მისი იდენტიფიცირება. იგი არის ინტელიგენტი, მოწესრიგებული, ელიტარული პოლიტიკოსი. ბუნებრივია, ეს პატივსაცემია, მაგრამ პოლიტოლოგების აზრით, გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიძლება მოვიდეს კიდეც გამყრელიძისნაირი პრეზიდენტი, მაგრამ არა ახლა. შეიძლება ითქვას, რომ გამყრელიძე საკმაოდ დიდ რისკზე მიდის. იმიტომ, რომ მოქმედი კანონმდებლობით, პრეზიდენტობის კანდიდატი არ შეიძლება ამავე დროს საპარლამენტო სიაში იყოს, ანუ, თუ გამყრელიძემ ვერ გაიმარჯვა, პარლამენტს გარეთ დარჩება.

ამბობენ, რომ მემარჯვენეებმა ძალიან გაიხარეს, როცა გაიგეს, ნათელაშვილი კენჭს იყრიდა — ნათელაშვილი სააკაშვილს ხმებს წაართმევსო. სამაგიეროდ, თურმე ძალიან ეწყინათ, როცა შეიტყვეს, რომ ერთიანი ოპოზიციის კანდიდატად მათი პარტიის ყოფილი თავმჯდომარე დავით გამყრელიძის ბავშვობის მეგობარი ლევან გაჩეჩილაძე დასახელდა.

მოგეხსენებათ, ოპოზიციამ საპრეზიდენტო კანდიდატთან ერთად დაასახელა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატიც — სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც გარკვეული დიპლომატიური გამოცდილება აქვს, ის კარგა ხანს ფრანგულ დიპლომატიაში მუშაობდა. ეროვნული საბჭოსთვის კვლავ აქტუალურია ლოზუნგი „საქართველო პრეზიდენტის გარეშე". ლევან გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, პოლიტიკურ პენსიაში წავა. თუ რა პერსპექტივები აქვთ გაჩეჩილაძეს და ზურაბიშვილს, ეს უფრო ნათლად მას შემდეგ გამოიკვეთება, როცა ისინი აქტიურ საარჩევნო მარათონში ჩაებმებიან. ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელი მხარე როგორ საარჩევნო კამპანიას წაიყვანს, რა სტრატეგიას დაეყრდნობა.

ელექტორატთან მჭიდრო კავშირით არ გამოირჩევა გია მაისაშვილი, თუმცაღა იგი ეკონომიკური კომპეტენციით მოდის. მაისაშვილს ყველაზე ზუსტი მმართველობის მოდელად საპრეზიდენტო ინსტიტუტი მიაჩნია. მისი აზრით, პრობლემები, რომელთა უმრავლესობაც ეკონომიკური ხასიათისაა, ეკონომიკური კომპეტენციის ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ კულუარებში ლაპარაკობენ, რომ მაისაშვილი უფრო იდეალისტია, იდეებს ემსახურება და ამომრჩეველს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. პოლიტიკურ იდეალისტად მიიჩნევს ექსპერტთა ნაწილი სალომე ზურაბიშვილსაც, რომელიც გია მაისაშვილისგან რადიკალურად განსხვავდება.

**მზია გელენავა**

№ 227. სამშაბათი, 20 ნოემბერი, 2007 წელი.

# დოკუმენტი

● ყველა ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეუძლია, მოიპოვოს საკუთრების უფლება იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელსაც იგი რეალურად ფლობს



◎ კანონი

# პრეზიდენტის ინიციატივით მიწის ნაკვეთების ლეგალიზაცია დაიწყო

**საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომელიც მიწისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების ლეგალიზაციას ითვალისწინებს. აღნიშნული კანონის საფუძველზე, ყველა ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეუძლია, მოიპოვოს საკუთრების უფლება იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელსაც იგი რეალურად ფლობს, მაგრამ დოკუმენტურად არ არის მისი საკუთრება, ანუ მასზე საკუთრების უფლება არ არის აღიარებული. ასეთი მიწის ნაკვეთების სამი კატეგორია არსებობს.**

**1. მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებიც ადამიანებს ჰქონდათ გარკვეული დოკუმენტაციის მიხედვით, თუმცა, მოქმედი კანონმდებლობით, საჯარო რეესტრში მათი გატარება და რეგისტრაცია ვერ ხერხდებოდა;**

**2. სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები;**

**3. თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები.**

**მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის მეშვეობით.**

**სპეციალური კომისია და შესაბამისი აპარატი თბილისის მერიაში უკვე შეიქმნა. თუ თქვენ ფლობთ მიწის ნაკვეთს, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ჯერ არ დაგიკანონებიათ, ამიერიდან, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მიმართოთ ქალაქის მერიას, რომელიც თქვენი საკუთრების უფლების აღიარებაში დაგეხმარებათ. პროცედურა მარტივია: დაინტერესებულმა პირმა კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება, ასევე – მიწის მართლზომიერი მფლობელობის, სარგებლობის ან თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი, მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ინფორმაცია საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობის დასადგენად და დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები. მიწით ან მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით სარგებლობის დამადასტურებლად დაინტერესებულმა პირებმა კომისიას შეუძლიათ წარუდგინონ ასევე კომუნალური გადასახადების ქვითრებიც.**

**კომისიის სხდომა საჯაროა და მასზე დასწრება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. მობრძანდით და დაიკანონეთ თქვენს რეალურ მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთები და მათზე არსებული შენობა-ნაგებობები.**

# საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ

## თავი I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. კანონის მიზანი**

ამ კანონის მიზანია მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფოს საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარებით (შემდგომში – საკუთრების უფლების აღიარება) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწა – სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც ფიზიკურ პირს მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოეშვა 1999 წლის 1 იანვრამდე;

ბ) სარგებლობაში არსებული მიწა – სახელმწიფოს საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც ფიზიკურმა ან კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა ორგანიზებულმა წარმონაქმნმა სარგებლობის უფლება მოიპოვა 1998 წლის 12 ნოემბრამდე ან ამ მიწაზე განთავსებული შენობა-ნაგებობა საკუთრებაში აქვს 2007 წლის 1 იანვრამდე, აგრეთვე იმ კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელთა დამფუძნებელიც არის სახელმწიფო;

გ) თვითნებურად დაკავებული მიწა – ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნის მიერ 2007 წლის 1 იანვრამდე თვითნებურად დაკავებული სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული;

დ) საკუთრების უფლების აღიარება – ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნისათვის სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, ამ კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით“ განსაზღვრული პირობებისა და პროცედურის შესაბამისად საკუთრებაში სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით გადაცემა;

ე) დაინტერესებული პირი – ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც მართლზომიერად ფლობს, სარგებლობს ან რომელმაც თვითნებურად დაიკავა სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით სურს მასზე საკუთრების უფლების მოპოვება, აგრეთვე ის პირი, რომელმაც სახელმწიფოს საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით მოსარგებლისაგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძინა/მოიპოვა ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლება.

**მუხლი 3. კანონის რეგულირების სფერო**

1. ეს კანონი განსაზღვრავს მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების ძირითად პირობებს და იმ ორგანოს უფლებამოსილებას, რომელიც საკუთრების უფლების აღიარების პროცესში წარმოადგენს სახელმწიფოს.

2. საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემდებარება სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგი მიწა:

ა) პირუტყვის გადასარეკი ტრასა;

ბ) წყლის ფონდი;

გ) დაცული ტერიტორია;

დ) რეკრეაციული დანიშნულების პარკი, ტყე-პარკი, სკვერი და სხვა;

ე) ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლები;

ვ) საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთი (მოედანი, ქუჩა, გასასვლელი, გზა, ტროტუარი, სანაპირო) და დასასვენებელი ადგილი (პარკი, ტყე-პარკი, სკვერი, ხეივანი, დაცული ტერიტორია);

ზ) თუ მასზე განთავსებულია წყალსაცავი, ჰიდროტექნიკური ნაგებობა და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი ზონები;

თ) თუ მასზე განთავსებულია საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის (სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგაყვანილობის) ობიექტები;

ი) სპეციალური დანიშნულების (თავდაცვისა და მობილიზაციისათვის განკუთვნილი) მიწის ნაკვეთები;

კ) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ობიექტებით დაკავებული მიწის ნაკვეთი, მათ შორის, ის მიწის ნაკვეთი, რომელზე განთავსებული სახელმწიფო ქონება, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ ექვემდებარება პრივატიზებას;

ლ) სასაფლაო და პანთეონი;

მ) სანიტარიული და დაცვითი ზონები;

ნ) თუ იგი განკუთვნილია ნავთობისა და გაზის მაგისტრალური მილსადენებისა და მათთან დაკავშირებული მიწისქვეშა და მიწისზედა საშუალებების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის.

**მუხლი 4. საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანო**

1. მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის მეშვეობით.

2. კომისიის შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით“.

## თავი II. მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების წესი

**მუხლი 5. მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების წესი**

1. მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენა კომისიაში.

2. თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოთხოვნის შესაბამისობა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან.

3. მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დასადასტურებლად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს:

ა) მიწის მართლზომიერი მფლობელობის, სარგებლობის ან თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი;

გ) ინფორმაცია საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობის დასადგენად;

დ) დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები.

4. კომისია განცხადებას განიხილავს მისი მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

იხ. 6 გვ.

# დოკუმენტი

• მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწა დაინტერესებულ პირს საკუთრებაში გადაეცემა უსასყიდლოდ



◉ კანონი

(მეხუთე გვერდიდან)

თუ საკუთრების უფლების აღიარებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია ერთ თვეზე მეტი ვადა, კომისია უფლებამოსილია განცხადების განხილვის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განხილვის ვადის დამატებით ერთი თვით გაზრდის შესახებ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში განცხადების განხილვის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

5. თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს, კომისია განცხადების განხილვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწაზე დაინტერესებული პირის საკუთრების უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ აღიარების თაობაზე და გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას და დამოწმებულ საკადასტრო აზომვით ნახაზს, რომელზედაც სხვა საკადასტრო მონაცემებთან ერთად ასახული უნდა იყოს საკუთრების უფლებააღიარებული მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობების საზღვრები და ფართობი.

6. თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა სარგებლობაში არსებულ ან თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს, კომისია დაინტერესებულ პირს განცხადების განხილვის ვადაში უგზავნის წერილობით შეტყობინებას საკუთრების უფლების აღიარების საფასურის შესაბამისი ოდენობისა და მისი ერთი თვის ვადაში სრულად გადახდის ვალდებულების თაობაზე. თუ დაინტერესებული პირი საკუთრების უფლების აღიარების საფასურს გადაიხდის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადაში და შესაბამისი ოდენობით, მაშინ კომისია გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას საკუთრების უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ აღიარების შესახებ და გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას და დამოწმებულ საკადასტრო აზომვით ნახაზს, რომელზედაც სხვა საკადასტრო მონაცემებთან ერთად ასახული უნდა იყოს საკუთრების უფლებააღიარებული მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობების საზღვრები და ფართობი.

7. თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს ან განცხადებისათვის დართული დოკუმენტებით არ დასტურდება მართლზომიერი მფლობელობის, სარგებლობის ან თვითნებურად დაკავების ფაქტი, ან ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში, შესაბამისი ოდენობით და შესაბამის ვადაში არ იქნა გადახდილი საკუთრების უფლების აღიარების საფასური, კომისია იღებს წერილობით გადაწყვეტილებას საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე.

8. თუ კომისიამ განცხადების განხილვის ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება საკუთრების უფლების აღიარების ან საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე, ეს ჩაითვლება მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ ანდა თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში კომისია ვალდებულია განცხადების განხილვის ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

**მუხლი 6. საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობა და გადახდის წესი**

1. მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწა დაინტერესებულ პირს საკუთრებაში გადაეცემა უსასყიდლოდ.
2. სარგებლობაში არსებული მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ათმაგ ოდენობას.

3. თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს:

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ ჰექტარზე – საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ასმაგ ოდენობას;

ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე – საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ორასმაგ ოდენობას, მაგრამ თუ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ორასმაგი ოდენობა მეტია მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე მოქმედ ნორმატიულ ფასზე, მაშინ თვითნებურად დაკავებული მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს მოთხოვნის დროისათვის შესაბამის მიწაზე მოქმედ ნორმატიულ ფასს.

4. საკუთრების უფლების აღიარების საფასური გადახდილ უნდა იქნეს ერთიანად.

## თავი III. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 7. გარდამავალი დებულებანი**

2007 წლის 15 სექტემბრამდე საქართველოს პრეზიდენტმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს:

ა) „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესი“;

ბ) საკუთრების უფლების მოწმობის ფორმა.

**მუხლი 8. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი**

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №4, 1998 წელი, მუხ. 33).

**მუხლი 9. დასკვნითი დებულებანი**

1. ეს კანონი, გარდა პირველი–მე-6 და მე-8 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი–მე-6 და მე-8 მუხლები ამოქმედდეს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**მიხეილ სააკაშვილი**

**თბილისი,**
**2007 წლის 11 ივლისი.**
**№5274– რს**

# მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

I. განცხადება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სახელზე.

II. განცხადება უნდა შეიცავდეს:
1. განმცხადებლის ვინაობა და მისამართი;
2. განმცხადებლის მოთხოვნა;
3. განცხადებაზე დართული დოკუმენტების ნუსხა;
4. განცხადების წარდგენის თარიღი;
5. განმცხადებლის ხელმოწერა.

III. განცხადებას თან ერთვის:
1. მიწის მართლზომიერი მფლობელობის, სარგებლობის ან/და თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი.

**მიწის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები:**

ა) ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) საკომლო წიგნიდან ამონაწერი;

გ) მეურნეობის წიგნაკი;

დ) „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის 348 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია, თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე;

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია;

ზ) სასამართლო აქტი ან/და სხვა დოკუმენტი.

**მიწით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი:**

ა) ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამდასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) სასამართლოს აქტი ან/და სხვა დოკუმენტი;

გ) „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში ასევე აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ, დადგენილი წესით, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა.

**მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

ა) ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) სასამართლო აქტი ან/და სხვა დოკუმენტი;

2. მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომელზედაც სხვა საკადასტრო მონაცემებთან ერთად ასახული უნდა იყოს საკუთრების უფლებასაღიარებელი მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობების საზღვრები და ფართობი;

3. ინფორმაცია საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობის დასადგენად. კერძოდ, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა/მისამართი, მიწის ნაკვეთის დანიშნულება (სასოფლო, არასასოფლო), ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემთხვევაში – მიწის ნაკვეთის ხარისხობრივი (კარგი და მწირი) მონაცემები;

4. დაინტერესებული პირის ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

5. განმცხადებელს უფლება აქვს დაურთოს სხვა დოკუმენტი ანჰდა სხვა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მის მიერ მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტას;

IV. განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს დედნის ან/და ნოტარიული წესით დამოწმებული ასლების სახით.

*თუ თქვენ ხართ ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი და რეალურად ფლობთ მიწის ნაკვეთს, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ჯერ არ დაგიკანონებიათ, მიმართეთ ქ. თბილისის მერიის რაიონულ გამგეობებს:*

| | |
|---|---|
| ძველი თბილისის გამგეობა | ლეონიძის ქ. 32, მესამე სართული |
| ვაკე-საბურთალოს გამგეობა | კოსტავას ქ.368ჰა |
| დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა | აღმაშენებლის გამზ. 3140ჰა |
| გლდანი-ნაძალადევის გამგეობა | სარაჯიშვილის ქ. 31 |
| ისანი-სამგორის გამგეობა | მოსკოვის გამზ. 314 |
| დიდგორის გამგეობა | წყნეთი, სტალინის ქ. 327ჰა |

# ეს იყო, იყო...

**წამების და სასურველი ჩვენების მიცემაში სამინისტროს ცენტრალურ აპარატს აშკარად გაასწრო თბილისის პოლიციის მთავარმა სამმართველომ. ზემდგომი ინსტიტუტის სხვა მეთოდებს იქ დაუმატეს ცოცხალი დათვი, რომელსაც „ურჩი“ ექვმიტანილების საკანში უშვებდნენ. მართალია, დაგლეჯვამდე საქმე არ მისულა, მაგრამ მისი ტორების ანაბეჭდი რამდენიმეს დღემდე შემორჩა**



**10 ნოემბერი პოლიციის დღე იყო**

### 3. ნატუსაღარი მინისტრი

**გამოცდილი ოპერატიული თანამშრომელი რომან გვენცაძე ადრე ყაჩაღობისთვის ნასამართლევმა მხედრიონის ერთ-ერთმა ლიდერმა თემურ ხაჩიშვილმა შეცვალა. ის, პირადად სახელმწიფო საბჭოს წევრისა და იმ დროს უდიდესი გავლენის მქონე ჯაბა იოსელიანის პროტეჟე გახლდათ.** იმ კაცის დანიშვნით იოსელიანი ცდილობდა თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა მთლიანად სისტემა, რათა ორგანოს თანამშრომლებს არ შეეფერხებინათ მისი „ბიჭების“ გამოძალვითი, „წილში ჩაჯდომის“ წარმატებული საქმიანობა (სხვათა შორის, დღევანდელ პარლამენტსა და სახელმწიფო სტრუქტურებში მრავლად არიან ამ ღონისძიებების მონაწილენიძ. განუკითხაობა და კორუფცია ახრჩობდა ქვეყანას.

სახელმწიფოს პირველმა პირმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ხაჩიშვილის მინისტრად ყოფნის პერიოდი გამოიყენა მხედრიონსა და შსს-ს შორის დაპირისპირების შესამცირებლად. მართლაც, ახალი მინისტრის დანიშვნის შემდგომ მნიშვნელოვნად იკლო დაპირისპირებებმა. მინიმუმამდე დავიდა პოლიციის შენობებზე თავდასხმები. აფხაზეთში მებრძოლთა დასახმარებლად სისტემატურად იგზავნებოდა შსს-ს დამხმარე კონტიგენტი. ხობსა და სენაკში ლოთი ქობალიას შეიარაღებული რაზმების შესაკავებლად, შსს-ს მუდმივი კონტიგენტი განთავსდა.

ხაჩიშვილმა დაიწყო პროფესიონალი კადრების ორგანოებიდან გაშვება. მათ ადგილზე ნასამართლევი მინისტრი ციხის მეგობრებსა და მხედრიონიდან გადმოყვანილთ ნიშნავდა. გვენცაძის მიერ ძლივსძლივობით შეკოწიწებული პროფესიონალთა ჯგუფი დაიშალა. თვითმხილველთა გადმოცემით,



შსს და მისი დანაყოფები ნასამართლევებისა და ყაჩაღების თავშესაფრად იქცა. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დამლაგებლები კაბინეტებიდან და ტუალეტებიდან ვერ აუდიოდნენ გამოყენებული ერთჯერადი შპრიცების, პრეზერვატივების, ალკოჰოლური სასმელების დაცლილი ბოთლების გამოტანას.

მხედრიონისა და შსს-ს დაპირისპირების შემცირებამ დადებითად ვერ იმოქმედა ქვეყანაში არსებულ კრიმინალურ ვითარებაზე. ექსპერტთა გადმოცემით, მხედრიონელობა გახდა ხელშეუხებლობის გარანტი. მან ყველა სამხედრო ფორმირება ჩამოიცილა და ერთპიროვნულად გახდა ქვეყნის ყველა სფეროს ბატონ-პატრონი. წილში გავლენიანი მხედრიონელის ჩასმა ნებისმიერი სფეროს წარმომადგენლისათვის ბიზნესის, მეწარმეობის თავისუფალი განვითარების ტოლფასი გახდა.

განუკითხაობისა და ქაოსის პირობებში, სამართალდამცავი სტრუქტურები სრული დემორალიზაციისაკენ მიექანებოდნენ. ისინი მომხდარ დანაშაულებზე, მხოლოდ სტატისტების როლშიღა რჩებოდნენ. ხაჩიშვილის პერიოდში განადგურდა (დაიწვაძ არქივი. თითქმის მთლიანად მოისპო ნასამართლევთა აღრიცხვიანობის სისტემა. იმ დროინდელი შეცდომები დღემდე იჩენს თავს (მრავალი ყოფილი მსჯავრდებული დღეს მაღალჩინოსნის სტატუსითა და ხელშეუხებლობით სარგებლობსძ. გამოსვლები გააქტიურეს სამეგრელოში გამაგრებულმა ქობალიას შეიარაღებულმა რაზმებმა.

ურთულესი კრიმინოგენურმა ვითარებამ და სხვა გარემოებებმა უდიდესი უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის საერთო განვითარებაზე. სულს ღაფავდა კერძო სექტორი, ჩაკვდა კერძო მეწარმეობა, ვაჭრობა, ბიზნესი. მთლიანად შეწყდა უცხოური ინვესტიციების შემოსვლა. ამ პერიოდს ექსპერტთა და ანალიტიკოსთა უმეტესობა ქვეყნისა და შსს-სათვის „შავბნელ ხანას“ უწოდებს. შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, შევარდნაძემ დიდი ძალისხმევის შედეგად შეძლო ხაჩიშვილის მინისტრობიდან განთავისუფლება. 1993 წელს ექსმინისტრი უშიშროების მინისტრის იგორ გიორგაძის მოადგილედ დანიშნეს.

1995 წელს თემურ ხაჩიშვილი სახელმწიფოს მეთაურზე მოწყობილი ტერორისტულ აქტის ორგანიზებისათვის გაასამართლეს. სასჯელის მოხდის შემდეგ ხაჩიშვილმა გაურკვეველი ორიენტაციის პოლიტიკოსებთან ერთად შექმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „დათვი“. ამ სტრუქტურას დიდხანს არ უმუშავია, ჩვენი ინფორმაციით, დღეისათვის ექს-შსს მინისტრი მოსკოვშია და კერძო ბიზნესს აწარმოებს.

### 4. დათვი საკანში

**სოხუმის დაცემის, უმართავი კრიმინოგენური ვითარებისა და დემორალიზებული პოლიციის პერიოდში შს მინისტრად დაინიშნა შოთა კვირაია. მისი მინისტრობის პირველ ნახევარში კრიმინოგენური ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა.** სპეციალისტთა გადმოცემით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დამარცხებული, „ვიეტნამის“ სინდრომით შეპყრობილი ნაწილი ყოფილი მეომრებისა, საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებულნი, იარაღს აღარ აბარებდნენ. მათ დაიწყეს შეიარაღებული ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნა და მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვას მიჰყვეს ხელი. ამ კატეგორიის ბანდფორმირებები „საქმეში“ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. გაჩნდა დაუთოების, სხეულზე, თმებზე ცეცხლის წაკიდების და სხვა საშინელი ფაქტები. სამხედრო ფორმებში გამოწყობილებმა განაახლეს პოლიციის შენობებზე თავდასხმები. საგრძნობლად იმატა პოლიციელებზე (ანგარიშსწორების, იარაღის წართმევის მიზნითძ და მათი ოჯახის წევრებზე თავდასხმებმა.

შსს-ს სტრუქტურებმა ხელი მიჰყვეს სახელმწიფო საკუთრების დატაცებას. აღმოსავლეთ საქართველოს ჭაბურღილებიდან შინაგანმა ჯარმა, რომელსაც უშუალოდ მათი დაცვა ევალებოდა, თვითონ დაიწყო ნავთობის უკანონო, კუსტარული რეწვა და ნედლი პროდუქციის გაყიდვა. ქვეყანა გაივსო კუსტარული ნავთობსადენებითა და ამ გზით მოპოვებული საწვავით. უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობა, დაღუპვის პირას იყო უნიკალური ფლორა და ფაუნა. ამას დაემატა პრეზიდენტყოფილის შეიარაღებული ფორმირებების შეტევაზე გადმოსვლა. მათ აიღეს ფოთი. თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო და ქუთაისს მიადგნენ.

ფოთის აღებით ქობალიამ თითქმის მთელ საქართველოსა და მის დედაქალაქს საარსებო არტერია გადაუკეტა. ნებისმიერი შემოსული ტვირთი მათ კონტროლს ექვემდებარებოდა.

სახელისუფლებო ძალებმა მოახერხეს ქობალიას შეიარაღებული რაზმების დასავლეთ საქართველოდან განდევნა. წინ მიმავალ სამთავრობო ძალებს უკან პოლიცია მიჰყვებოდა. ქალაქებში შესული მხედრიონელები და მათი მიტმასნილები უმოწყალოდ დაესივნენ ადგილობრივ მოსახლეობას. დღეში 20-30 სახლი იძარცვებოდა. ზოგი მოსახლე რამდენმეჯერ გაძარცვეს. მოსახლეობა აღშფოთებას ვეღარ მალავდა და ადგილზე სიტუაციის გასაცნობად ჩასულ ქვეყნის პირველ პირს ედუარდ შევარდნაძეს პეტიცია გადასცეს. სამეგრელოს მოსახლეობა მისგან დაუყოვნებლივ შველას ითხოვდა.

მოსახლეობის უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე, შევარდნაძემ, როგორც ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა გასცა ბრძანება მოროდიორებისა და ყაჩაღების შემთხვევის ადგილზე ლიკვიდაციის თაობაზე. როგორც იურისტები აღნიშნავდნენ, კვირაიას მიერ ზუგდიდში ბანდიტების ადგილზე დახვრეტის ფაქტი მისი ბრძანების შესრულება იყო. მსგავსი შემთხვევების რამდენიმეჯერ გამეორებამ სამეგრელოს რეგიონი აშკარად



იხსნა მორიგი ეგზეკუციისაგან. თვით რეგიონში წესრიგის დამყარებაში კი უდიდესი იყო შს ორგანოების წვლილი.

სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ შსს-მ დაიწყო კრიმინოგენური ვითარების დარეგულირება. შსს-ში დააბრუნეს ხაჩიშვილის დროს გაყრილი გამოცდილი კადრები. პარალელურად მის დროს ორგანოებში მიღებული საეჭვო რეპუტაციის პირთაგან სისტემის გაწმენდა დაიწყო. დაიწყო დამნაშავეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ე. წ. „კვირაიას რაუნდები“. მიუხედავად ჩატარებული წმენდებისა, ოპერატიული ღონისძიებების დროს ხშირი იყო მოსალოდნელი ოპერაციების შესახებ ინფორმაციების სამინისტროდან გაჟონვის ფაქტები. ამის შედეგად ბევრმა კრიმინალმა მოასწრო გახიზვნა. არსებულ პრობლემებს დაერთო უთანხმოება საკუთარ კადრებთან. მინისტრს მოსკოვში, თავის რუს კოლეგასთან მოლაპარაკების დროს, შსს-ს მაღალჩინოსნებმა ობსტრუქცია მოუწყვეს. სამინისტროს ცენტრალური შენობა 4 საათის განმავლობაში პარალიზებული იყო. შენობის პიკეტირების გამო შიგ შესვლის საშუალებას თანამშრომელთა ერთი ნაწილი კოლეგებს არ აძლევდა. მომხდარის გამო მოსკოვიდან მობრუნებულმა კვირაიამ ორგანოებში მობრუნებული მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი მურთაზ ჩიქობავა და სხვები სამსახურიდან გაანთავისუფლა.

ჟურნალისტების გადმოცემით, კვირაიას უჭირდა მასმედიის წარმომადგენლებთან კონტაქტები. დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა მათთან. სპეციალისტთა გადმოცემით, სამინისტროს, კვირაიას ხელმძღვანელობით, რეალურ წარმატებებთან ერთად ახასიათებდა მოჩვენებითობაც (ვითომდა ამოღებული იარაღის წარმოჩინება, ბრძოლა კუსტარული ნავთობსადენებისა და უკანონო რეწვის წინააღმდეგ და ა. შ.ძ. კვირაიას მინისტრობის პერიოდში, ექვმიტანილთა გადმოცემით, სამინისტროში დანერგილი იყო სასურველი ჩვენების მისაღებად წამების არნახული, არაადამიანური მეთოდები: ცალი ფეხით ჩამოკიდება, რამდენიმე დღის განმავლობაში გაუსვლელად „რადიატორზე“ მიბმა, სასქესო ორგანოების მაგიდის უჯრებში მოყოლება და ა. შ. მისი მინისტრობის დროს სამინისტროს ფანჯრებიდან გადმოხტა არაერთი ექვმიტანილი, ზოგჯერ მოწმის სტატუსით დაბარებულებიც.

წამების და სასურველი ჩვენების მიცემაში სამინისტროს ცენტრალურ აპარატს აშკარად გაასწრო თბილისის პოლიციის მთავარმა სამმართველომ. ზემდგომი ინსტიტუტის სხვა მეთოდებს იქ დაუმატეს ცოცხალი დათვი, რომელსაც „ურჩი“ ექვმიტანილების საკანში უშვებდნენ. მართალია, დაგლეჯვამდე საქმე არ მისულა, მაგრამ მისი ტორების ანაბეჭდი რამდენიმეს დღემდე შემორჩა.

ყოფილი პოლიციელების განმარტებით, კვირაიას ახასიათებდა პათოლოგიური სიმთვრალე. ნასვამი მინისტრი უმართავი ხდებოდა. ხშირად ღრეობებს იგი რამდენიმე დღეს განაგრძობდა. ასეთ ვითარებაში მინისტრს კაბინეტში კეტავდნენ. მისი სახელით დაბალ რგოლებს კვირაიასთან ყველაზე დაახლოებული პირი — მინისტრის კანცელარიის უფროსი, თამაზ ნინუა მართავდა. ამგვარი ქმედება კანონის აშკარა უხეში დარღვევას იყო. ნინუა თავისი თანამდებობით მინისტრის პირველი მოადგილესა და სხვა მოადგილეებზე ნაკლები რანგის ჩინოვნიკს წარმოადგენდა.

1995 წელს კვირაია უშიშროების მინისტრად გადაიყვანეს. ცოტა ხანში მას უკანონო სატელეფონო მოსმენებისათვის პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა და თანამდებობიდან გაათავისუფლა. ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად იგი მოსკოვშია. ინფორმაციები მისი საქმიანობის შესახებ არ გაგვაჩნია.

**ზაზა ბილიხოძე**
**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი**
იხ. „სრ“ № 226.

# დამოუკიდებლობის 17 წელი და 9 შს მინისტრი

# პროფესიის პრესტიჟი

**იშვიათია მაღალი პროფესიული კომპეტენციის თანხვედრა მაღალ პიროვნულ თვისებებზე. სწორედ ამასთან გვაქვს საქმე ბატონ ბორისის შემთხვევაში. თუ ამას დავუმატებთ ეროვნულობას და პატიოსნებას, სახეზე გვექნება ბატონ ბორის იმნაძის ჭეშმარიტი პორტრეტი**



**პიროვნება**

## მადლიანი მოძღვარი

**დაბადებიდან 75 და მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რუსული ენის და ლიტერატურის კათედრის გამგეს პროფესორი ბორის ლეონიდეს ძე იმნაძეს.**

ბორის იმნაძე დაიბადა 1932 წლის 15 ნოემბერს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. მამა, განათლებით ეკონომისტი, 1937 წელს სვანეთში გაჰყვა რეპრესიებს გაქცეულ თავის მეგობარს ნოე შარაშენიძეს და იქ ცხოვრობდა 3 წლის განმავლობაში. ომის დაწყების წინ დაბრუნდა თბილისში, 1941 წელს გაიწვიეს დიდ სამამულო ომში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. დედა ნინო ლორთქიფანიძე, მუშაობდა მაღალ პარტიულ და სამეურნეო თანამდებობებზე. აღსანიშნავია, რომ დიდი ძალისხმევით ბ-ნმა ბორისმა შესძლო მამის საფლავის მიგნება და ღირსეული პატივის მიგება.

ბატონმა ბორისმა დაამთავრა ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლა. ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამშენებლო ფაკულტეტზე. სწავლა განაგრძო ქ. მოსკოვში საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში. მასთან ერთად სწავლობდნენ შემდგომში გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები ელდარ შენგელაია, ო. ჩერქეზია და სხვები. მოგვიანებით სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში და მოსკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იმავე პერიოდში გახდა სპორტის ოსტატი და მოსკოვის ჩემპიონი კრივში.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ბატონი ბორისი დაბრუნდა საქართველოში და ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. დაამთავრა ასპირანტურა განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. 1960 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1970 წლიდან დღემდე ბატონი ბორისი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეა. 1980 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ბორის იმნაძე არის 150-მდე შრომის, 16 სახელმძღვანელოს და 3 მონოგრაფიის ავტორი. 1976 წელს თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტმა გამოსცა ბატონი ბორისის მონოგრაფია „Основы методики поеподования русского языка в неязикових вузах“, რომელშიც მოწოდებული, დასაბუთებული და ღრმად გაანალიზებულია ავტორისეული უცხო ენების სწავლების მაკორექტირებელი თეორია. მონოგრაფიას წინ უძღოდა რუსული ენის სახელმძღვანელოს ორტომეული (ტ. 1 ფონეტიკა, მორფოლოგია, ტ. 2 სინტაქსიძ.

ბატონი ბორისი არის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ნამდვილი წევრ-აკადემიკოსი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია და დღესაც მზადდება დისერტაციები. ბ-ნ ბორის იმნაძის საერთაშორისო აღიარების დასტურია თუნდაც ის, რომ 4 წლის განმავლობაში მიწვეული იყო გერმანიაში და კითხულობდა ლექციებს ქ. ნოი-ბრანდენბურგში პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში. დღეისათვის იგი უცხო ენათა სწავლების მეთოდიკის აღიარებული სპეციალისტია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში. განსაკუთრებულია ბატონ ბორისის დამსახურება საქართველოში ტექნიკური ჟურნალისტიკის ფორმირებისა და განვითარების საქმეში.

არიან მაღალი პროფესიული კომპეტენციის აღიარებული ინტელექტუალი მეცნიერები, რომელთა ადამიანური თვისებები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. არიან კარგი პიროვნული თვისებების მაღალზნეობრივი კონტაქტური პიროვნებები, ბრწყინვალე ქართველოლოგიური მონაცემებით, რომელთა პროფესიონალიზმი არასათანადო დონისაა. იშვიათია მაღალი პროფესიული კომპეტენციის თანხვედრა მაღალ პიროვნულ თვისებებზე. სწორედ ამასთან გვაქვს საქმე ბატონ ბორისის შემთხვევაში. თუ ამას დავუმატებთ ეროვნულობას და პატიოსნებას, სახეზე გვექნება ბატონ ბორის იმნაძის ჭეშმარიტი პორტრეტი. ალბათ ამიტომაა, რომ იგი სარგებლობს სტუდენტების, კოლეგების, ამხანაგების და მეგობრების განუსაზღვრელი სიყვარულით და გულწრფელი პატივისცემით. ღირსეული პარტნიორია არა მხოლოდ მუშაობაში, არამედ ფიზიკურ წვრთნაში და ნადირობაში. სასურველი სტუმარია ქართულ სუფრასთან.

ბატონი ბორისის წარმატებაში საგრძნობი წვლილი მიუძღვის მის მეუღლეს, შესანიშნავ ქართველ ქალბატონს, ცნობილი ქართველი მწერლის ანა ხახუტაშვილის (ცქვიტი) შვილიშვილს პროფესორ ელისაბედ ხახუტაშვილს. სწორედ ბატონ ბორისის იუბილეს დაემთხვა პიარტექნოლოგიების შესახებ ქალბატონ ელისაბედის ფუნდამენტური მონოგრაფიის გამოცემა.

შვილები ლევანი და ლიკა, შვილიშვილები ერეკლე და გიორგი, ბატონი ბორისის სიხარულის, სიკეთის და ბედნიერების მუდმივი წყაროა.

ჩვენთვისაც საამაყოა, რომ ბატონ ბორისის უფროსი შვილი ლევანი წარმატებით მოღვაწეობს ქ. მოსკოვში. არის საერთაშორისო საზღვაო სამართლის ცნობილი სპეციალისტი, ხელმძღვანელობს დიდ საადვოკატო კომპანიას.

**ჩემო ძვირფასო, მარად ახალგაზრდა უფროსო მეგობარო, მადლიანო მოძღვარო, ბატონო ბორის, გისურვებთ ხანგრძლივ ბედნიერ სიცოცხლეს, კიდევ დიდხანს ასევე ახალგაზრდულად და ღირსეულად გეტარებინოთ წლების ტვირთი.**

*ქრისტესმიერი სიყვარულით —*

**სულხან ქემოკლიძე,**
**პროფესორი**

**ლილე**

## ულექსოს ლექსს აწერინებ, უსიხარულოს სიხარულს აძლევ

**„მთებს გაუმარჯოს, შენ არ იტყვი რა დროს მთებია“ — ამას ალბათ დღეის სიბნელეში მხოლოდ მირანს ვეტყოდი, თანაც ფალიანს, თოფის ფალიას და ალს რომ მახსენებს, მუდამ სხივით თვალებში და მუდამ პოეტად მფეთქავი და ლექსით გრძნობის ამფეთქებელი, ძმაი ჩემი მირანი...**

***შუქი თვალებში,***
***ლექსით ფშვინვა,***
***ხმა ბობოქარი,***
***არ დამონება ვაინაჩრის,***
***არცრა მცირესი,***
***ისევ ამანთებ, მახვეწარი***
***ზეცის მთხოვარი,***
***პოეტის სევდით,***
***ლექსის სხივით***
***და ხორცის თოვით...***
***ხვთის სამადლობლად***
***ხელს კი არა***
***სუნთქვას გამოწვდილს***
***შევსვამ ფიალას,***
***როგორც ფიცის***
***რწმენით გამოცდას,***
***შენის გულობით***
***დრო დაჩქარდა***
***და ცაც გაოცდა...***

მადლობელი ვარ, მირან, რომ შენს ლექსში ვერნაფიქრალი და საუფლო სტრიქონი ჩანს, მადლობელი ვარ, რომ ჩვენი მიწისთვის სამშობლო დაგირქმევია და სულ-ხორციანად ეწირები... მადლობელი ვარ, რომ ადამიანებს სულიწმინდის მადლით სიხარულსა და სიკეთეს ეუბნები...

მადლობელი ვარ, რომ ულექსოს ლექსს მაწერინებ და უსიხარულოს სიხარულს მაძლევ, დიდება უფლის მადლს, რომ ჩვენი შეყრა ინება დად და ძმად, დიდება უფალს, რომ შენი ლალითა და შენი „ჭყინტი შვილებით“ ქართულ მეობასა და ქართულ სამწერლოს ეხიდებით.

მადლობა, რადგან სულსა და ხორცში უფლისმიერ სილამაზეს ატარებ.

შეუკრებია მირან ფალიანს „ლიტერატურულ საქართველოში“, „ცისკარში“, „მნათობში“, სხვა უამრავ ჟურნალ-გაზეთში გამოქვეყნებული თავისი მშვენიერი ლექსი, კერძო კოლექციებში მიმოჩუქებული თავისი ნახატები, შეუკრებია და ლილესავით მშვენიერ წიგნად გვიმზადებს მეგობრებს, ქართულ სისხლს გვიჩქროლებს მისი მთაში ნაწრთობი სვანურკილოვერგადაჩვეული ბუხუნა ხმა...



მირან ფალიანი. „სვანეთი“

მადლობა, რომ მთელი ქვეყნიერება გიხარია და გტკივა, მადლობა იმისთვის, რომ ძმა ხარ და მოყვასი, მადლობა იმისთვის, რომ შენი ალალი სუნთქვა და სტრიქონი საქართველოს მონაგარია, მადლობა, იმისთვის, რომ ხარ, იწვი და სინათლეს ასხივებ.

შენ დღესაც სიცოცხლისა და სიყვარულის სიფხიზლედ დადიხარ, და იარე, იარე, იარე, ამინ!

**დაი შენი**
**ლია**
**ბედოშვილი**

**ინფორმაცია**

## სააკაშვილს სურს კარგი და კეთილი პრეზიდენტი გამოჩნდეს

**ოპოზიცია მიიჩნევს, რომ მთავრობაში ცვლილებას პრეზიდენტი საზოგადოებაში ნდობის მოპოვების მიზნით ახორციელებს.**

**— ყველამ ხომ კარგად ვიცით პრეზიდენტი სააკაშვილი მთავრობას რატომ ცვლის. ნახა რომ მას რეიტინგი საერთოდ არ გააჩნია და უნდა არჩევნების წინ საზოგადოების თვალში რამენაირად კარგი და კეთილი პრეზიდენტი გამოჩნდეს. ამიტომაც შეცვლის იმ მინისტრებს ვის მიმართაც საზოგადოებაში ნეგატიური განწყობაა, — აცხადებს ფრაქცია დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენელი გიგა ბუკია.**

**მისი თქმით, ამ ლოგიკით პრეზიდენტმა უნდა შეცვალოს კახა ლომაია, ვანო მერაბიშვილი, კახა ბენდუქიძე.**

**— ყოველ შემთხვევაში ამ ადამიანებს საზოგადოებაში არანაირი ნდობა აღარ აქვს და თუკი პრეზიდენტს საკუთარი თავისთვის კარგი უნდა, ალბათ პირველ რიგში ეს მინისტრები უნდა შეცვალოს, თუმცა სააკაშვილი რას გადაწყვეტს და რას გააკეთებს ამის თქმა ჩვენთვის ძალიან ძნელია, — აცხადებს ბუკია.**

## აპროტესტებენ საკონსტიტუციო ცვლილებებს

**ფრაქცია „ჩვენი საქართველო“ საკონსტიტუციო ცვლილებებს აპროტესტებს და ამასთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადებას ავრცელებს.**

**ფრაქციისთვის მიუღებელია, როგორც პარლამენტის მოქმედების ვადის 5 წლამდე გაზრდა, ასევე მაჟორიტარული სისტემის შეცვლა.**

**— ვინაიდან ასეთი პრაქტიკა მსოფლიოში ფაქტობრივად არ არსებობს, ხოლო სადაც არსებობს იქ პრეზიდენტი ირჩევა 6 ან 7 წლით და ამავე დროს პარლამენტი ორ პალატიანია. ასე რომ ამ ეტაპზე 5-წლიანი ვადის განსაზღვრა არ არის დასაბუთებული სახელმწიფოებრივად და არანაირად არ გამომდინარეობს არც საქართველოს სახელმწიფო მოწყობიდან, არც საქართველოს კონსტიტუციიდან და არც იმ რეალობიდან, რომელიც დე ფაქტოდ არსებობს, როგორც პოლიტიკური პრობლემა, — ნათქვამია ფრაქციის განცხადებაში.**

**რაც შეეხება მეორე ცვლილებას, ფრაქცია აპროტესტებს მაჟორიტარული სისტემის შეცვლას იმ მოტივით, რომ მათთვის მაჟორიტარული სისტემის პარტიული გზით არჩევნების შეცვლა გაუგებარია. გარდა ამისა, განცხადებაში ნათქვამია, რომ არ არის არგუმენტირებული არც ტერიტორიულად დაყოფის პრინციპი და ისინი აცხადებენ, რომ ამ ცვლილებებიდან არც ერთს მხარს არ დაუჭერენ.**

ХО-ЭОВ-ЭНО

# წუთისოფელი

● სამკურნალო ბლოკის წინ გაზეთები ავილე. პირველივე გვერდზე რუსთაველის პრემიაზე წარდგენილთა სიაა. ლიტერატურის დარგში, — იოსებ ნონეშვილი და მე.

აქ დავა რა საჭიროა, ერთ ადგილზე ერთი, იოსები, გავა. მე ალბათ მალე თავად მოვხსნა უნდა ჩემი კანდიდატურა. ასე ჯობს



ევტუშენკო აფხაზეთში იშენებს, სიმონოვის გვერდითო. გალიას მოუყოლია, ჟენია ევტუშენკოს „საზიზღრობანი“. ტიტველ გოგონებთან გორაობა. ცოლი კი ცალკე ჩაკეტილი.

## ◉ გულწრფელი წიგნი

— მე შენ სერიოზულად გეუბნები!.. — ისეთი კატეგორიულობა იცოდა, მართლა შეგაშინებდა, — მე ამ წიგნს „განთიადის“ და ქუთაისის სამწერლო კავშირის სახელით, იცოდე წარვადგენ... თუ მოახერხებ, შენ აჭარიდან მხოლოდ ერთი მხარდამჭერი მომინახე. გაიგე?! წაველი ახლა. დაგირეკავ...

ორ-სამ დღეში მართლა დარეკა. რა ქენი, მხარდამჭერი ვინ იქნებაო. გავაკეთებ ხვალ-ზეგმეთქი, დაბნეულად გავეპასუხე. კაი, მე მოგინახავ მაშინო, — თლათ შემარცხვინა.

დავტრიალდი. არ მინდოდა ჩემი ხელქვეითი ორგანოები გამომეყენებინა (კავშირი, „ჭოროხი“, აჭარგამომცემლობაძ. ავილე და განათლების მინისტრ ვახტანგ წულუკიძეს მივადექი. ავუხსენი ასე და ასეა საქმე, წესდებით ყველას აქვს ნება მხარდაჭერისა. გამიკეთო იქნებმეთქი. შეკრთა ვახტანგი. თქვა, საოლქო კომიტეტს თუ არ დავეკითხე, არ შემიძლიაო (ვახტანგი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო და ერთი ვაჟკაცი თანაკუთხელი, მაგრამ ოფიციალურში ნამეტნავი ოფიციალურობა სჩვეოდაძ.

— გურამ ეგოროვიჩ! — (ოლქკომში პირველი მდივანი წასულიყო, — მეორეს დაელაპარაკაძ — ხალვაშს, ჩვენს პოეტს, რუსთაველის პრემიაზე წარდგენას უპირებენ ქუთაისელები. მხარდაჭერის წერილი უნდათ სამინისტროსგან. რა ვქნათ?

— კაცო, რას ამბობ (მესმისძ. ქუთაისი წარადგენს და ჩვენ მხარიც უნდა დავუჭიროთ?! დროზე გავუკეთოთ!

კო კეცხოველის, მართლაც ბრძნული, მამულზე დარდით და სიყვარულით მოთიკრული მხარდაჭერა რად ღირდა. ის წერილი თურმე ბატონმა ნიკომ „ლიტსაქართველოში“ მიიტანა. უთხრეთ, ხალვაშზე უკვე დაიბეჭდა ჩვენთანო. წაუღია მერე „სოფლის ცხოვრებაში“, სადაც გამოქვეყნდა კიდეც (ყოველივე ამას ახლა მიტომაც გიყვები, რომ მაშინ აუტანელი, ბევრი ჩემთვის შეურაცხმყოფელი ჭორი დაადინეს პრემიის მონიჭების გამო. შარშან ერთმა გაზეთმა თავის კროსვორდისათვის, აი, ასეთი კითხვაც ჩასვა — „რომელმა პოეტმა სძლია რუსთაველის პრემიებზე იოსებ ნონეშვილს?ძ.

და, — ორი კანდიდატია და ლიმიტიც ორიაო. თქვენზეა ახლა, ამხანაგებო, თუ ორივე ნომინანტს ხმათა საჭირო რაოდენობა ექნა, პრემიას ორივე მიიღებსო.

აიკრიფა ბიულეტენები და იმ საცოდავი ბიულეტენების ხრაშა-ხრუშ-ტკაცა-ტკუცით, აქეთიქით მიმორიგდნენ კომიტეტელები. ზოგმა რაფაზე, ზოგმა შუა დარბაზში, ზოგმა სხვა ოთახში გასულმა, ჰქნა თავისი საქნელი. ხელებში ნასრესი, დაკეცილი-დაპაწავებული ბიულეტენები ყუთში ჩაუშვეს.

ხმისდამთვლელები ცალკე ჩაიკეტნენ და კაიხანი აღარ გამოჩნდნენ (ძველ „ინტურისტის“ შენობაში მუშაობდა დროებით მწერალთა კავშირიც და პრემი-

ერთი პირობა ვიფიქრე ორსამს მაინც თანაკომიტეტელს შევიწვევ სადმე, ჩამოვჯდებით და თითო ჭიქით დავილოცებით-მეთქი, მაგრამ ნოდარ დუმბაძემ მირჩია, — ფრიდოშა, ნუ იზამ ახლა. მაგის დროც მოვაო! ხომ ხედავ, რა სურათიაო (იოსებს გულისხმობდაძ. საღამოს უჭმელ-უსმელი მატარებლით შინ წამოვედი.

### ძველი დღიურიდან

13.12.1977
ჩამოვიდა ირაკლი აბაშიძე. ითხოვს, მაჭახელაში მინდაო. მარტოა. მაღალი და, ძველებურად, ხმაჩაჩოქილი, ტკბილმოუბარი.

ფრიდონ ხალვაში

# ომში

დოკუმენტური მოთხრობა



### სიხარული წყენიანი

ბორჯომ-ლიკანში შემოდგომის კაი მზით მოსირმული დღეა. მე და თუნთული იქა ვართ, სანატორიუმის გრილ და მყუდრო ოთახში. სამოცდათვრამეტი იწურება.

სამკურნალო ბლოკის წინ გაზეთები ავილე. პირველივე გვერდზე რუსთაველის პრემიაზე წარდგენილთა სიაა. ლიტერატურის დარგში, — იოსებ ნონეშვილი და მე.

აქ დავა რა საჭიროა, ერთ ადგილზე ერთი, იოსები, გავა. მე ალბათ მალე თავად მოვხსნა უნდა ჩემი კანდიდატურა. ასე ჯობს. იოსები საქვეყნოდ აღიარებული, პოპულარული, სახალხო და საყვარელი პოეტია. როგორ ვიკისრებ დაპირისპირებას, ან წინ გადადგომას. ამას ვერც შევძლებ, არც დამშვენდება. ისედაც, ჩემი თანაკუთხელი ფალავების სიძეა იოსები. ჩვენი ახლობელია.

რა თქმა უნდა, აქ ყველაფერი წინასწარ გარკვეულ-გადაწყვეტილი ჩანს. თვით წარდგენილთა შორის ყოფნა დიდი რამეა ჩემთვის. თუმცა, ვგრძნობ, რალაც გამოსავალზე იფიქრებენ ზევით. რთული გამოცანაა.

ერთი სიტყვით, სიხარული და შფოთი, დაგორებულ მურგვის ძაფივით დაიშალა, ათას რამეს მოედო, მიმოიბლანდა. მაგრამ, ახლა, ვფიქრობ, ეს ამბავი ჩემთვის მარტო ამბავიც კი, ჯილდოა. პრესა ხომ იქნება, შეფასებები ხომ იქნება.

მართლაც, საამაყო და გულის გამამხნევებელი წერილი ბევრი გამოქვეყნდა. მარტო დიდი ნი-

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 183-208, 213-226.**

კენჭისყრა 1979-ის თებერვალს უნდა მოხდეს. მხოლოდ ნაახალწლევს, იანვრის მიწურულს. ჩაველი და პირდაპირ გრიგოლ აბაშიძეს მივადექი შინ, კეკელიძის ქუჩაზე.

წინასწარ არავისთვის, შინაურთათვისაც კი არ გამიმხელია, მაგრამ გულში საბოლოოდ გადავწყვიტე, — პრემიების კომიტეტიდან ჩემი საქმე უკან უნდა გავიტანო.

(მაშინ მწერალთა კავშირს და პრემიების კომიტეტსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნი გრიგოლიძ.

კაიხანს ვისაუბრეთ. ავუხსენი, — ბატონო გრიგოლ, ისეთი პრესა იყო ჩემზე და ჩემს წიგნზე, ერთ უმაღლეს პრემიად მარტო ის მიღირდა-მეთქი. ახლა, მგონი საქმისთვის ჯობს, მე ჩემს კანდიდატურას თუ მოვხსნი და განცხადებაც წინ დავუდე.

ამასობაში, უფაქიზესი ქალბატონი, ლამარა, მშვენიერ სუფრასთან გვიწვევს. ყოველთვის მიყვარდა გრიგოლის პოეზია და, როგორ გამოვთქვა? — გრიგოლის და ლამარას სიყვარულიც მიყვარდა.

არაო, გადაჭრით გამიცხადა გრიგოლმა. გატანა წესდებით დაგვიანდა, იყოსო. თუ ხმები დაგაკლდა, ეს თავისთავად უკან წაღებაც იქნებაო. მეორეც, უნდა გითხრა, საბავშვოში არავინა გვყავს კანდიდატი. იმედია, ცეკა დათანხმდება და ერთი ადგილი დაემატებაო. ასე რომ, ყველაფერს ხმები გადაწყვეტსო.

მართლაც, კომიტეტის სხდომაზე, კენჭისყრის წინ, გაცხად-

ების კომიტეტიცძ.

ხმისდამთვლელები რომ ბრუნდებოდნენ, მე ვიწრო დერეფნის კედელს ზურგით მიკრებული ვიდექი. ჩავლისხანს არც შემომხედეს. მგონი ერთმა, ნოდარ დუმბაძემ წამით თვალი ჩამიკრა. მაგრამ მომეჩვენა რაღაც ნაღვლიანი სურათი იხატებოდა. ალბათ ორივე წაგვშალეს. ზოგიერთს, შეიძლება კიდეც შევებრალე (ისე ატუზული ვიდექი საცოდავადძ, არადა, გეფიცებით, შიგნით, სულში და გულში უარს შერიგებული ვიყავი.

ოქმს კითხულობენ. „მხატვრულ ლიტერატურაში...“ და... მე — მეტი ხმა. მას — ნაკლები. ასადგომად წამოწეული უკანვე დავეშვი.

დამაბნეველი, წყენიანი სიხარული! ჰო, ჰო, სიხარულს წყენა წაეფარა, დაბორკა. ნონეშვილიც იმ შენობაშია. იგი ხომ კავშირის ერთი მდივანიც იყო. მახსოვს, ირაკლი აბაშიძე და ნოდარ დუმბაძე იოსებთან შევიდნენ. აწყნარებდნენ, ამშვიდებდნენ, აიმედებდნენ, — არაფერია, ხდება. მომავალ წელს აუცილებლად შენიაო. მაგრამ იოსები თავჩაღუნული მგონი ქვითინებდა. შევხედე, მეც ცეცხლი მომეკიდა, დავლონდი. ადგილს ვერ ვპოულობდი. დამეხათრა, გული მეტკინა. იოსებმა თვალი მომკრა. თავი წამოსწია, ყველაფერს სძლია და მოგილოცავო, გამაგონა. კი, ეს შეძლო, ეს გააკეთა.

ეს, მისი კაცური და რაინდული სისპეტაკის საკვირველებანი სამუდამოდ ჩამრჩა.

ჩხუტუნეთში, თავმჯდომარე, შაბანი, თავისი ლანჩხუთელი ხალვაშის ქალით, თავის ეზოში, ვეება ტურაბელელას ძირესთან შეგვხვდა. ჯერ სკოლაში დიდი პოეტური შეხვედრა გაუმართეს ირაკლის. ჩახლეჩილი ხმით მომხიბვლელად წაიკითხა რამდენიმე ცნობილი ლექსი.

მერე, შაბანთან, სახლში. მაჭახლური კალმახი, და კეცის მჭადი, ხვიტიანი კეჟერას ფხალლობიო და ნაღებიანი ხავიწი, ბუხრისწინ სუფრაზე რომ დაულაგეს, ირაკლიმ ყბის ცახცახით ჩაიჩურჩულა: მარტო ამისთვის შეიძლებოდა აქ მოსვლა.

08.12.77
პერედელკინო, მწერალთა საკავშირო სახლი, სასადილოში არსენი ტარკოვსკი მომეხვია. პირველად ვხედავ, — ცალფეხაა. არ ვიცოდი პროტეზიანი თუ იყო. მენატრება ბათუმიო.

მერე, თავის ოთახში შემიყვანა. ვაჟაზე მელაპარაკა. უმაღლესი განწყობით ვთარგმნეო. კედელზე — ხატები. შემოვიდა სოლოუხინი, არ დაჯდა, დაგინახე და გნახეო, მითხრა, წავიდა. ბათუმის გამო ესენინი ვახსენე. მიაბრუნა თავი ტარკოვსკიმ. Не люблю Есенина-ო, თქვა.

19.12.77
შევიარე ვლადიმერ ლიფშიცთან. ნაქირავებშია. მეორე სართულზე ევტუშენკოს ყოფილი ცოლი (ლუკონინის ყოფილი ცოლიძ გალიააო.

12.12.77
საღამოს ა. მეჟიროვი მხვდება. ზეგ ჩემთან წავალთო. „ზეგ“ საერთოდ აღარსად გამოჩენილა.

13.12.77
სასტუმრო „მოსკოვის“ დერეფანი. დეპეშას ვწერ შინ, თუნთულთან გასაგზავნს. ვილაცა ხელს მადებს მხარზე, თავისკენ მექაჩება. ჩინგიზ აიტმატოვია. მეკითხება, თუ წაიკითხე ჩემი ახალი „პოვესტიო“. არა-მეთქი. „ზნამიაშია“ № 4-შიო. რატომღაც, შემომჩივის (მეორედძ, — რომანი მაინც არ გამომივიდაო (მაშინ, ჯერ რომანი არ ჰქონდაძ.

06.02.78
ბათუმი, პარმენ ლორია საავადმყოფოში დაუწვენიათ. მივედი. მოახსენეს. შარდის შეკავებით ისე ვარ, ვერავის დავენახვებიო, უთქვამს. მესამე დღეს, იქიდან, მე და ალი სამსონიამ გამოვასვენეთ.

19.09.79
ბათუმში ჩამოვიდა „იტალიის მწერალთა სინდიკატების“ გენერალური მდივანი ალდო დე იაკო (ასე ჩამიწერიაძ, ცოლი ბერძენია. ყურები სტკივა საწყალს. ქობულეთში ნახეს სოფელი დაგვაც, ბერძნების სოფელი. „ინტურისტში“ ვასადილეთ. ჩვენებურების ლაპარაკი და ჟესტიკულაციები მოეწონა ალდოს. თითქოს შინ ვარო.

14.10.79
გუშინდელი „ტბელობა“, ძველ, რვაასწლიან მარანში რომ სანთლები დავანთეთ, დღეს უფრო მოსაფერები, მოსავლელი, დაუვიწყარი მეჩვენა. ტბელობა-მაღვიძარაა. ჩვენებური წელში გაიმართა, სიამაყე იგრძნო, რწმენა გაუღრმავდა, თავი დაიფასა. ტბელი, აჭარის ერისთავი და მსოფლიო სახელის მეცნიერი, დღეს — წმინდანი, — ეს ხომ მართლაც დიდი რამაა ჩვენებურთათვის.

28.11.79
ოთარ ჭილაძე, ოტია პაჭკორია, ჭაბუა ამირეჯიბი, გვერდწითელი, ბულატ ოკუჯავა, გურამ ასათიანი, ბობოყვათის „მშენებელში“ შეხვედრაზე. თემა, — „ქართული ისტორიული რომანი“.

ბულატი, — შენი პირველი რედაქტორი ვიყავი, „მოლოდაია გვარდიაში“, 1956-შიო.

გვერდწითელი (ჩემი „მე არ ვიქნები შენი სტუმარის“ მოსმენისთანავეძ — ამას ან რუსთაველი იტყოდა, ან რუსთაველის პრემიის ლაურეატი. — მიკბინა.

**(გაგრძელება იქნება)**

# ჩვენ

● რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო პერიოდში ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი არანორმალურად მიიჩნევს



◎ ინფორმაცია



## პატარკაციშვილისთვის რუსეთის შეურაცხყოფა მიუღებელია

**რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო პერიოდში ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი არანორმალურად მიიჩნევს.**

ამის შესახებ განცხადება ბადრი პატარკაციშვილმა ვაშინგტონში, ტელეკომპანია „RTVI“-სათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ორი ქვეყნის ურთიერთობების ნორმალიზებისთვის ყველაფრის გაკეთებას აპირებს.

როგორც მან აღნიშნა, მისთვის მიუღებელია რუსეთის შეურაცხყოფა და ყველაფერში რუსული კვალის ძებნა.

— კატეგორიული წინააღმდეგი ვარ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არსებული ვითარების. ჩვენი ხალხები ერთმანეთს გადაკიდეს. მესმის, რომ საქართველოს სურს რუსეთთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობების დამყარება, მაგრამ ამის გაკეთება რუსეთის შეურაცხყოფისა და მკაცრი კრიტიკის ფონზე შეუძლებელია, — აღნიშნა პატარკაციშვილმა.

მისივე აზრით, მნიშვნელობა არა აქვს, საქართველო პატარა თუ დიდი ქვეყანაა, მაგრამ რუსეთის მიმართ კრიტიკული მოსაზრებები იმგვარად უნდა გამოთქვა, რომ იქ, როგორც მინიმუმ, პატივისცემა დაიმსახურო.

## აფხაზეთში მძიმე ტექნიკა გროვდება

**საქართველოსა და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე გასულმა ღამემ მშვიდად ჩაიარა, მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გალის მიმართულების ხელმძღვანელი თორნიკე კილანავა აცხადებს, რომ კონფლიქტის ზონაში აფხაზური მხრიდან მძიმე ტექნიკის გადაადგილება კვლავ შეიმჩნეოდა.**

„მიუხედავად კონფლიქტის ზონის მთელს პერიმეტრზე მშვიდად ჩავლილი ღამისა, აფხაზური მხრიდან მძიმე ტექნიკის გადაადგილება კვლავ შეიმჩნეოდა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, გალის რაიონის სოფელ თაგილონსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მთელი ღამის განმავლობაში იმ მძიმე ტექნიკის გადაადგილება მიმდინარეობდა, რომელიც აქამდე კონფლიქტის ზონაში არ დაფიქსირებულა“, — აცხადებს კილანავა.




## მთავრობას რადიო „იმედი“ ტელეკომპანია „იმედში“ აერია

**რადიო „იმედის“ მაუწყებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, გუშინ რადიოს თანამშრომლებმა სპეციალური განცხადება გაავრცელეს.**

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, რადიოს ხელმძღვანელობას მაუწყებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებით დღემდე არანაირი სამართლებრივი დოკუმენტი არ მიუღია. მიუხედავად ამის, რადიოს თანამშრომლებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, შენობაში შევიდნენ და მუშაობა განაახლონ.

განცხადების მიხედვით, 2007 წლის 19 ნოემბრის 10.30 საათზე რადიო „იმედის“ თანამშრომლები შსს სამინისტროს წარმომადგენლებმა შენობაში არ შეუშვეს, თუმცა რა მოტივით, ეს დოკუმენტურად დღემდე არ არის ცნობილი.

ამასთან, რადიოს თანამშრომლები აცხადებენ, რომ მათ ქონებაზე ოფიციალურად ყადაღა დადებული არ არის, რადიო „იმედი“ არის ცალკე შპს, რომელიც კომპანია „ნუსკორპის“ მმართველობაში შედის.



განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რადიო „იმედი“ და „ტელეიმედი“ ერთიანი ტელერადიოკომპანია არ არის.

## არასამთავრობოები „იმედის“ ეთერში გასვლას ითხოვენ

**არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ ლიდერები ხელისუფლებას ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასვლას სთხოვენ.**

კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ წევრებმა მთავრობის კანცელარიის წინ საპროტესტო, საინფორმაციო ბრიფინგი გამართეს, სადაც აღნიშნეს, რომ ხელისუფლება ბარიერებს შეგნებულად ქმნის, რათა საზოგადოებამ ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემები ვერ ნახოს.

—ხელისუფლება მიზანმიმართულად ქმნის პრობლემებს და ბარიერებს, რათა „ტელეიმედი“ ეთერში არ გავიდეს. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ აღდგეს „იმედის“ მაუწყებლობა, უკიდურეს შემთხვევაში ჩვენ საპროტესტო აქციებს მოვაწყობთ, — განაცხადა კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ლილუაშვილმა.

## „არ შეიძლება დღევანდელი ხელისუფლების პირობებში სასამართლო ობიექტური იყოს“

**თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილისა და პრეზიდენტის ყოფილი საპარლამენტო მდივნის დიმიტრი ქიტოშვილის გუშინდელ სასამართლო პროცესზე, ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატმა პარლამენტის ნდობის ჯგუფის წევრების დაკითხვის შუამდგომლობა დააყენეს.**

როგორც პროცესის დაწყებამდე ადვოკატმა ეკა ბესელიამ განაცხადა, პარლამენტის წევრებისგან დაკომპლექტებული ნდობის ჯგუფი უფლებამოსილი იყო, თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო საკითხების, მათ შორის შესყიდვებთან დაკავშირებული თემების საქმის კურსში ყოფილიყო.

მისივე აზრით, ნდობის ჯგუფის წევრების დაკითხვა სასამართლოში უნდა მოხდეს და უნდა გაირკვეს ის საკითხები, რომელიც არის ბუნდოვანი.

ბესელიას ინფორმაციით, აღნიშნული შუამდგომლობის გარდა, მას კიდევ რამდენიმე შუამდგომლობა ექნება. — თუ მოსამართლე იქნება ობიექტური და შუამდგომლობებს დააკმაყოფილებს, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდება სამსახურებრივ გულგრილობასთან დაკავშირებით გასაჩივრდება და ბრალდების არგუმენტებს კონტრარგუმენტები დაუპირისპირდება, — აღნიშნა ბესელიამ.

მანვე აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტროსაგან უნდა მოხდეს იმ დოკუმენტაციის გამოთხოვა, რომლებიც ძვირადღირებულ შესყიდვებზე ხელშეკრულებებს ეხება.

სასამართლო პროცესზე მივიდა დეპუტატი გია თორთლაძეც.

— არ შეიძლება, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში სასამართლო ობიექტური იყოს. მიტინგში მონაწილე 2000-მდე ადამიანია დაკავებული. წარმოუდგენელი პროცესები მიმდინარეობს. ამას ჩვენ ძალიან მალე დავუსვამთ წერტილს, — განაცხადა გია თორთლაძემ.

## შარშანდელთან შედარებით სამჯერ მეტ ციტრუსს მივიღებთ



**აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „ციტრუსოვანთა ნაყოფის ექსპორტის რეალიზაციის ხელშეწყობის“ პროგრამა შეიმუშავა, რომლის ბიუჯეტი 1 800 000 ლარს შეადგენს.**

როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მასმედიასთან ურთოერთობის დეპარტამენტიდან იტყობინებიან, პროგრამა აჭარის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

მათივე ინფორმაციით, აჭარაში წელს ციტრუსის უხვი მოსავალია მოსალოდნელი, რის გამოც შესაბამისი ღონისძიებების გატარებაა საჭირო. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ სასურველია, თუ ციტრუსის ექსპორტიორ ფირმებზე შეღავათიანი, უპროცენტო სესხი გაიცემა.

„ციტრუსის გადაზიდვა, ძირითადად, საზღვაო ტრანსპორტით უკრაინის, მოლდოვეთის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და სხვა ქვეყნების ბაზრებზე წარმოებს. დიდი მოსავლიანობის გამო, საჭიროა, საგანგებო ღონისძიებების გატარება, რომლებმაც მიღებული მოსავლის შეფერხებების გარეშე ექსპორტზე რეალიზაცია უნდა უზრუნველყოს“, — განაცხადა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ედუარდ ფუტკარაძემ.

მიმდინარე წელს საქართველოში, დაახლოებით, 100 ათასი ტონა ციტრუსის მოსავალს ელოდებიან, რაც შარშანდელთან შედარებით, თითქმის სამჯერ მეტია.

## განახლებული „ნაძალადევი“

**განახლებული მეტროსადგური „ნაძალადევი“ გაიხსნა. პრეზენტაციას ქალაქის მერი გიგი უგულავა, ვიცე-მერი დავით ალავიძე, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი ნიკა ხაჩირიშვილი, მეტროს გენერალური დირექტორი ლევან კოპლატაძე ესწრებოდნენ.**

მეტროსადგურ „ნაძალადევის“ განახლებითი სამუშაოები 8 ივნისს დაიწყო. თბილისის მერიამ სამუშაოებისთვის მილიონ 900 ათასი ლარი გამოყო, რაც სამი სადგურის (ნაძალადევის, ვარკეთილის, ახმეტელისძ რეკონსტრუქციას მოხმარდა.

როგორც მეტროს პრესსამსახურის უფროსი ნანა ცერცვაძე აცხადებს, განახლებული მეტროსადგური „ვარკეთილი“ 27-დან 30 ნოემბრამდე გაიხსნება, ხოლო „ახმეტელი“ — 25 დეკემბრისთვის.

მეტროსადგურ „ნაძალადევში“ ძველი ეკოლოგიური სანათები ახლით შეიცვალა, გარემონტდა ზედა ვესტიბიული, განახლდა მეტროს გარე იერსახე და ინტერიერი, გამოიცვალა საკომუნიკაციო ქსელი, დამონტაჟდა ვიდეოკამერები, განახლდა მეტროს მიმდებარე ტერიტორია, მეტროს სკვერი.

## დასაქმების პროგრამა მომავალ კვირას დაიწყება

**მოსახლეობა დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამის დაწყებას ელოდა, რის გამოც საგამოფენო პავილიონთან გუშინ დილის 04.00 საათიდან უამრავი ადამიანი შეიკრიბა.**

ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა თამუნა მანჯავიძემ აღნიშნა, რომ დასაქმების პროგრამა პროცედურულად მართლაც გუშინ დაიწყო, თუმცა ჯერ არ გადაწყვეტილა, მოსახლეობამ სად და რა დროს, კონკრეტულად რომელ პავილიონს უნდა მიაკითხოს.

„უახლოეს დღეებში ჩამოვყალიბდებით და დაახლოებით მომავალი კვირის ორშაბათიდან ალბათ მოსახლეობას კონკრეტულ ადგილზე მისვლა და რეგისტრაციის გავლა შეეძლება“, — აცხადებს მანჯავიძე.

## იურიდიული დახმარების ბიურო — ბათუმში

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის კიდევ ერთი, აჭარის ბიურო გაიხსნა ბათუმში, მისამართზე: ბერიძის შესახვევი №14.**

როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან, ბიუროში დასაქმებულია კონკურსის წესით შერჩეული ცხრა საზოგადოებრივი ადვოკატი, რომლებიც სოციალურად დაუცველ ეჭვმიტანილებს, ბრალდებულებსა და განსასჯელებს უფასო საადვოკატო დახმარებას გაუწევენ სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, აგრეთვე, იმ კატეგორიის ადმინისტრაციულ საქმეებზე, სადაც მოქალაქეთა ინტერესების დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს.

ინტერპრესნიუსი

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 32-85-76; 98-65-87

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის საგადასახადო ინსპექცია განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს სს „ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის" ს/ნ 219982259 (მდებარე: ზუგდიდის რ-ნი, სოფ. ინგირი) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება სს „ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის" შემდეგი დასახელების ქონება:

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
|---|---|---|---|---|
| | | | [illegible] | [illegible] |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 178 | ტრაქტორი ტ-150 | 1 ცალი | | 600 |
| 179 | მაგიდა | 1 ცალი | | 50 |
| 180 | [illegible] მაგიდა | 2 ცალი | | 100 |
| 181 | [illegible] | 3 ცალი | | 30 |
| 182 | საწერი მაგიდა | 11 ცალი | | 60 |
| 183 | მაგიდა კომპიუტერული | 4 ცალი | | 200 |
| 184 | [illegible] „ორხი" | 1 ცალი | | 100 |
| 185 | კონდიციონერი | 1 ცალი | | 150 |
| 186 | [illegible] | 1 ცალი | | 274.9 |
| 187 | [illegible] | 1 ცალი | | 274.9 |
| 188 | [illegible] | 6 ცალი | | 300 |
| 189 | [illegible] | 2 ცალი | | 20 |
| 190 | [illegible] | 2 ცალი | | 400 |
| 191 | [illegible] | 1 ცალი | | 1000 |
| 192 | [illegible] | 1 ცალი | | 150 |
| 193 | მაგიდა | 1 ცალი | | 50 |
| 194 | მაგიდა კომპიუტერული | 2 ცალი | | 100 |
| 195 | [illegible] | 1 ცალი | | 100.9 |
| 196 | [illegible] | 6565 ცალი | | 1300 |
| 197 | [illegible] | 21 ცალი | | 210 |
| 198 | [illegible] | 2 ჰა | | 22700 |
| 199 | [illegible] | 565 კვ² | | 28250 |
| | სულ ჯამი | | | 470063.3 |

ქონების საერთო ღირებულება: 4700633 ოთხასსამოცდაათი ათას სამოცდასამი ლარი და ოცდაათი თეთრი.

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართია ზუგდიდის რ-ნი, სოფ ინგირი.

აუქციონი გაიმართება 2007 წლის 5 დეკემბერს 14 სთ-ზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №87, მე-4 სართული, ფოთის საგადასახადო ინსპექციის ზუგდიდის განყოფილების შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2 პროცენტი (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302003000ძ. მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის საგადასახადო ინსპექციას აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ: 8(293ძ2-07-04; 8(293ძ2-07-06.

№ 227. სამშაბათი. 20 ნოემბერი. 2007 წელი.

● სამწუხარო ის გახლავთ, რომ ორივე ჩვენს გუნდს თავიანთი შესარჩევი ჯგუფების ფსკერიდან ამოსაყვინთავად მოუწევს ბრძოლა, თუმცა რაღა უნდა გაგვიკვირდეს, როცა თვით ქვეყანაა ჩავარდნილი ამავე დღეში

№ 227. სამშაბათი, 20 ნოემბერი, 2007 წელი.

# განცხადება

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის საგადასახადო ინსპექცია განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს შპს „არომატის“ ს/ნ 220005697 (მდებარე. ზუგდიდის რ-ნი სოფ.ნარაზენი) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება შპს „არომატი“-ს შემდეგი დასახელების ქონება:**

| № | ქონების დასახელება და აღწერა | ზომის ერთეული (ზომა, წონა მეტრაჟი და სხვა) | საწყისი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | ხის გადამამუშავებელი ფაბრიკა შენობა, გაბარიტული ზომები (18X72) მეტრზე | ცალი (1296 კვმ) | 25000 |
| 2 | ხის ფაბრიკის შენობაზე მიშენებული ნაწილი, გაბარიტული ზომები (6.0X24.0) მეტრზე | ცალი (144 კვმ) | 3000 |
| 3 | ხის ფაბრიკის შემოღობვა – 200 გ/მ | ცალი (200 გ/მ) | 1500 |
| 4 | ხის საჭრელი აგრეგატი | ცალი 1 | 1500 |
| 5 | [illegible] №418 | ცალი 1 | 500 |
| 6 | [illegible] №417 | ცალი 1 | 500 |
| 7 | [illegible] №410 | ცალი 1 | 500 |
| 8 | [illegible] №411 | ცალი 1 | 500 |
| 9 | [illegible] №199 | ცალი 1 | 500 |
| 10 | [illegible] №319 | ცალი 1 | 500 |
| 11 | ხის საშრობი ღუმელი | ცალი 1 | 3000 |
| 12 | ხის დამამუშავებელი მანქანა | ცალი 1 | 800 |
| 13 | [illegible] მანქანა | ცალი 1 | 300 |
| 14 | კალორიფერი | ცალი 1 | 300 |
| 15 | ელექტრო ტრანსფორმატორი 10.5 კვტ | ცალი 1 | 150 |
| 16 | ელექტრო ტრანსფორმატორი 3.5 კვტ | ცალი 1 | 60 |
| 17 | ელექტრო ტრანსფორმატორი 12.5 კვტ | ცალი 1 | 180 |
| 18 | ელექტრო ტრანსფორმატორი 9.0 კვტ | ცალი 1 | 120 |
| 19 | ელექტრო ტრანსფორმატორი 10 კვტ | ცალი 1 | 150 |
| 20 | ელექტრო ტრანსფორმატორი 8 კვტ | ცალი 1 | 100 |
| 21 | [illegible] ტრანსფორმატორი 10.5 კვტ | ცალი 1 | 100 |
| 22 | [illegible] ტრანსფორმატორი 12 კვტ | ცალი 1 | 120 |
| 23 | [illegible] ტრანსფორმატორი 8 კვტ | ცალი 1 | 80 |
| 24 | [illegible] ტრანსფორმატორი 6 კვტ | ცალი 1 | 60 |
| 25 | ცისტერნა მეტალის 25 ტ. ტევადობის | ცალი 1 | 500 |
| 26 | სასწორი | ცალი 1 | 400 |
| 27 | ელ. ენერგიის განაწილებელი მთავარი კარადა | ცალი 1 | 500 |
| 28 | ელ. ტრანსფორმატორი | ცალი 1 | 1000 |
| 29 | [illegible] მიწის ნაკვეთი | კვმ (4362.4) | 600 |
| [illegible] | მიწის ნაკვეთის საიჯარო ხელშეკრულება №49 (ვადით 10 წლით) | ჰა (65.2) | 665 |
| 31 | მიწის ნაკვეთის საიჯარო ხელშეკრულება №140 (ვადით 10 წლით) | ჰა (12.1) | 123 |
| | სულ ჯამი | | 43308 |

**ქონების საერთო ღირებულება:** 43308 ორმოცდასამიათასსამასრვა ლარი.

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართია ზუგდიდის რ-ნი, სოფ.ნარაზენი

აუქციონი გაიმართება 2007 წლის 5 დეკემბერს 11 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქ.№87, მე-4 სართულზე ფოთის საგადასახადო ინსპექციის ზუგდიდის განყოფილების შენობაში.

აუქციონეზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახდო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302003000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციო გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის საგადასახადო ინსპექციას აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ.ფოთი, 26 მაისის ქ.№7. ტელ: 8(293)2-07-04; 8 (293)2-07-06.



◎ ფეხბურთი

# ამოვყვინთავთ?

**ამ დღეებში თბილისში საერთაშორისო საფეხბურთო სეზონის დასკვნითი შეხვედრებია დანიშნული – დღეს ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოსა და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებები ითამაშებენ (დასაწყისი 19 საათზე), ხოლო ხვალ 19 საათზე და 30 წუთზე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სარბიელზე „ჯვაროსნები“ ლიტველებს უმასპინძლებენ. სამწუხარო ის გახლავთ, რომ ორივე ჩვენს გუნდს თავიანთი შესარჩევი ჯგუფების ფსკერიდან ამოსაყვინთავად მოუწევს ბრძოლა, თუმცა რაღა უნდა გაგვიკვირდეს, როცა თვით ქვეყანაა ჩავარდნილი ამავე დღეში.**

ბალტიისპირელებთან მატჩამდე კლაუს ტოპმიოლერის შეგირდებმა ყატარში გაინავარდეს და ტურისტული ლაშქრობა იქაურ ნაკრებთან ამხანაგური დუელის მოგებით დააგვირგვინეს – 2:1 (კანკავა, სალუქვაძე).

ახლა კი გაუწყებთ „ევრო – 2008“-ის შესარჩევი რაუნდის ბოლოსწინა ტურის შეხვედრათა შედეგებს:

**I ჯგუფი.** ფინეთი – აზერბაიჯანი 2:1, პოლონეთი – ბელგია 2:0, პორტუგალია – სომხეთი 1:0, სერბეთი – ყაზახეთი დიდთოვლობის გამო 24 ნოემბრისთვის გადაიდო.

პოლონეთი – 27, პორტუგალია – 26, ფინეთი – 23, სერბეთი – 20, ბელგია – 15, სომხეთი – 9, ყაზახეთი – 7, აზერბაიჯანი – 5 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** აზერბაიჯანი – ბელგია, სერბეთი – პოლონეთი, პორტუგალია – ფინეთი, სომხეთი – ყაზახეთი.

**II ჯგუფი.** შოტლანდია – იტალია 1:2, ლიტვა – უკრაინა 2:0.

იტალია – 26, საფრანგეთი – 25, შოტლანდია – 24, უკრაინა – 16, ლიტვა – 13, საქართველო – 13, ფარერის კუნძულები – 0 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** საქართველო – ლიტვა, უკრაინა – საფრანგეთი, იტალია – ფარერის კუნძულები.

**III ჯგუფი.** საბერძნეთი – მალტა 5:0, ნორვეგია – თურქეთი 1:2, მოლდოვა – უნგრეთი 3:0.

საბერძნეთი – 28, თურქეთი – 21, ნორვეგია – 20, ბოსნია – 13, მოლდოვა, უნგრეთი – 12-12, მალტა – 5 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** უნგრეთი – საბერძნეთი, მალტა – ნორვეგია, თურქეთი – ბოსნია.

**IV ჯგუფი.** გერმანია – კვიპროსი 4:0, უელსი – ირლანდია 2:2, ჩეხეთი – სლოვაკეთი 3:1.

ჩეხეთი, გერმანია – 26-26, ირლანდია – 17, უელსი, კვიპროსი – 14-14, სლოვაკეთი – 13, სან-მარინო – 0 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** გერმანია – უელსი, კვიპროსი – ჩეხეთი, სან-მარინო – სლოვაკეთი.

**V ჯგუფი.** ისრაელი – რუსეთი 2:1, ანდორა – ესტონეთი 0:2, მაკედონია – ხორვატეთი 2:0.

ხორვატეთი – 26, ინგლისი – 23, რუსეთი – 21, ისრაელი – 20, მაკედონია – 14, ესტონეთი – 7, ანდორა – 0 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** ინგლისი – ხორვატეთი, ისრაელი – მაკედონია, ანდორა – რუსეთი.

**VI ჯგუფი.** ესპანეთი – შვედეთი 3:0, ლატვია – ლიხტენშტეინი 4:1, ჩრდ. ირლანდია – დანია 2:1.

ესპანეთი – 25, შვედეთი – 23, ჩრდ. ირლანდია – 20, დანია – 17, ლატვია – 12, ისლანდია – 8, ლიხტენშტეინი – 7 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** ესპანეთი – ჩრდ. ირლანდია, შვედეთი – ლატვია, დანია – ისლანდია.

**VII ჯგუფი.** ჰოლანდია – ლუქსემბურგი 1:0, ალბანეთი – ბელორუსია 2:4, ბულგარეთი – რუმინეთი 1:0.

რუმინეთი, ჰოლანდია – 26-26, ბულგარეთი – 22, ალბანეთი, სლოვენია – 11-11, ბელორუსია – 10, ლუქსემბურგი – 3 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** ბელორუსია – ჰოლანდია, რუმინეთი – ალბანეთი, სლოვენია – ბულგარეთი.

***„მუნდიალ-2010“-ის შესარჩევი ეტაპი.* სამხრეთ ამერიკის ზონალური ტურნირი. III ტური.** არგენტინა – ბოლივია 3:0, პერუ – ბრაზილია 1:1, კოლუმბია – ვენესუელა 1:0, ურუგვაი – ჩილე 2:2, პარაგვაი – ეკვადორი 5:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** არგენტინა – 9, პარაგვაი – 7 ქულა.



# განცხადება

## სატენდერო შეთავაზება სს „ცენტრალური სუპერმარკეტის“ აქციათა გამოსასყიდ ფასად ყიდვის თაობაზე

სატენდერო შეთავაზებით სს „ცენტრალური სუპერმარკეტის“ აქციათა გამოსასყიდ ფასად შეძენისათვის **„გამოსყიდვის სააღრიცხვო თარილად“** დადგენილია 2008 წლის 20 იანვარი, რომლის მდგომარეობითაც არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან მოხდება მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა.

**გამოსყიდვის პირობები და პროცედურები:**

● მყიდველი ფლობს სს „ცენტრალური სუპერმარკეტის“ გამოშვებულ 260,328 ცალ ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საწესდებო კაპიტალის 86.7153 პროცენტს და შემთავაზებელს სურს გამოისყიდოს 39,882 ცალი ჩვეულებრივი აქცია, რომელიც არის საწესდებო კაპიტალის 13.2847 პროცენტი.

●სს „ცენტრალური სუპერმარკეტის“ აქციების შესყიდვის თანხა შეადგენს ერთი ცალი აქციისთვის 8.50 (რვა აშშ დოლარი და 50 ცენტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში;

● სატენდერო შეთავაზება გრძელდება 2007 წლის 20 ნოემბრიდან 2008 წლის 20 იანვრამდე;

●სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში გაკეთდება შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია და დადგენილი წესით გავრცელება;

● შესყიდვა მოხდება სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ;

●სს „ცენტრალური სუპერმარკეტის“ აქციონერთაგან გაყიდვაზე განაცხადების შეგროვებას განახორციელებს შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი“ (ლიცენზიის ნომერი №20028) მისამართი: ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. №24, ტელ: 225-907;

სს „ცენტრალური სუპერმარკეტის“ 13.2847 პროცენტის 39,882 აქციის გაყიდვაზე თანხმობის სრული რაოდენობის არსებობის შემთხვევაში (თუ ყველა აქციონერი თანახმაა გაყიდვაზე) შემთავაზებელი მზადაა გამოისყიდოს აქციათა მთელი რაოდენობაც.

აქციონერებს საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ $53^2$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოსყიდვის ანგარიშის გაცნობა შეუძლიათ საბროკერო კომპანიაში – შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი“ (ლიცენზიის ნომერი 20028) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. №24, ტელ: 225-907.

**მყიდველი შპს „ჰაროლდ ტრეიდინგი“**

● ხელისუფლებამ გიორგობის აღნიშვნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობის მოწვევით გადაწყვიტა, მმართველი პარტიის წევრთა და მის მრავალრიცხოვან მხარდამჭერთა კოლონები კი სად, თუ არა სპორტის სასახლის თაღებქვეშ, გაშლიან ფრთებს. საამისოდ, რასაკვირველია, იქაურობის კიდევ უფრო დამშვენებაა საჭირო და ამ დროს ვის ეკალათბურთება



⊙ ორბიტაზე

## რომის პაპი და ფეხბურთი



**თეთრ-წითელი ფეხბურთის ბურთი და თექვსმეტნომრიანი სპორტული მაისური წარწერით „ბენედიქტი“ აჩუქეს რომის პაპს იტალიურ ადრიატიკის ქალაქ ანკონას ფეხბურთის გუნდმა ტრადიციული კოლექტიური აუდიენციის დროს, წმინდა პეტრეს მოედანზე რომ გაიმართა.**

შეგახსენებთ, რომ ვატიკანმა ეს გუნდი ამას წინათ თავის მფარველობაში აიყვანა. რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა ილაპარაკა სპორტის დიდ მორალურ და აღმზრდელობით მნიშვნელობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე.

## პირველმა ჩოგანმა ისევ იპირველა



**თუმცა ჩვენი პლანეტის პირველმა ჩოგანოსანმა, შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა შანჰაიში სეზონის დასკვნით ტურნირზე Masters Cup წაგებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ „ათამაშდა“ და ფინალურ ნაწილშიც მოხვდა, სადაც დაუპირისპირდა ესპანელ დავიდ ფერერს, რომელმაც ფინალში მოსახვედრად გზიდან ჩამოიცილა ჩოგნის ისეთი დიდოსტატები, როგორნიც არიან რაფაელ ნადალი, ნოვაკ ჯოკოვიჩი და ენდი როდიკი.**

მაგრამ ფინალურ მატჩში ფედერერმა ისეთი ძალით დაიწყო შეტევა, რომ ესპანელმა მას ვერ გაუძლო და, ბუნებრივია, დამარცხდა – 6:2, 6:3, 6:2.

მატჩი 1 საათი და 38 წუთი გაგრძელდა. ფედერერმა ბოლო 5 წელიწადში მეოთხედ გაიმარჯვა წლის დასკვნით ტურნირზე (2003, 2004, 2006, 2007 წლებშიძ.

## გერმანელები ახალი ფორმით

**ფეხბურთში გერმანიის ნაკრებმა სხვებზე ადრე გაინაღდა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილის საგზური. ბუნდესტიმმა ასევე პირველმა წარმოადგინა ახალი ფორმა, რომლითაც კონტინენტის პირველობაზე ითამაშებს. ამ ფორმით ფეხბურთელებმა პირველი ვარჯიშიც ჩაატარეს.**

ნაკრების ახალი ჩაცმულობა გადაწყვეტილია გერმანიის ეროვნული დროშის ფერებში – შავს, წითელსა და ყვითელში.

მაისურები საკუთარ მინდორზე სათამაშოდ ტრადიციულად თეთრი ფერის იქნება. მეტოქის მინდორზე სათამაშოდ – წითელი.

ახალი ფორმით ნაკრებმა 17 ნოემბერს კვიპროსის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა.



⊙ კალათბურთი

# უმთავრესია პარტია

**როგორ გავიხარეთ, კალათბურთი ახლადგარემონტებულ სპორტის სასახლეს დაუბრუნდაო. თურმე ეს სატყუარა ყოფილა.**

ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე ტურის მატჩები მართლაც დედაქალაქის მთავარ დახურულ სარბიელზე გაიმართა, განვლილ კვირას კი სუპერლიგის მონაწილეებს დარბაზი დაკეტილი დახვდათ და, წინა წლების მსგავსად, ისევ ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის კომპლექსში მოუწიათ ოფლისღვრა, სადაც არც განათებაა ნორმალური და, ძაბვის ვარდნის გამო, ტაბლოსაც ხშირად სჭირდება პროფილაქტიკა.

მაინც, რაშია საქმე? – იკითხავთ, ალბათ. ახლავე მოგახსენებთ.

ხელისუფლებამ გიორგობის აღნიშვნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობის მოწვევით გადაწყვიტა, მმართველი პარტიის წევრთა და მის მრავალრიცხოვან მხარდამჭერთა კოლონები კი სად, თუ არა სპორტის სასახლის თაღებქვეშ, გაშლიან ფრთებს. საამისოდ, რასაკვირველია, იქაურობის კიდევ უფრო დამშვენებაა საჭირო და ამ დროს ვის ეკალათბურთება. ჰოდა, სწორედ ამიტომ იცვალა სუპერლიგამ მისამართი. როგორც იცით, საპრეზიდენტო არჩევნებამდე თვენახევარია დარჩენილი, ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, „ნაციონალებმა“ კიდევ არაერთხელ ისურვონ მგზნებარე იდეების სასათბურე პირობებში შემოთავაზება და უნდა ვივარაუდოთ, რომ ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეებს ამდენჯერვე მიუთითებენ კარისკენ. დაუშლით ვინმე თუ?..

რაც შეეხება IV ტურის შეხვედრებს, მისი შედეგები ასეთი გახლავთ: „დინამო“ – „მაკაბი“ 87:85, „ენერჯი ინვესტი“ – „ავიამშენი“ 97:85, „ვითა“ – თსუ 86:81.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ენერჯი ინვესტი“ – 4, „ვითა“ – 3, თსუ – 2, „დინამო“, „ავიამშენი“, „მაკაბი“ – 1-1 მოგება.

**გია პლატონიშვილი**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

⊙ ათლეტიზმი

# „ტურისტებმა“ ატლანტა გაძარცვეს

**რამდენიმე წელიწადია, საქართველოს სპორტსმენები ათლეტიზმში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ. ბოლო დროის ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და მსოფლიო ჩემპიონატიდან 10 ოქროს მედლით დაბრუნდნენ.**

**სეზონის შემაჯამებელ ასპარეზობას ჯორჯიის შტატის (აშშ) დედაქალაქმა ატლანტამ უმასპინძლა. მედლებისთვის 28 ქვეყნის 500-მდე წარმომადგენელი იბრძოდა, მათ შორის 8 ათლეტი საქართველოს წარგზავნილი გახლდათ.**

**გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ჭავჭანიძე.**



– წლევანდელი შეჯიბრებისთვის სერიოზულად მოვემზადეთ, – გვითხრა მან. – ამიტომ წარმატების იმედი ნამდვილად გვქონდა, იმის მიუხედავად, რომ ნაკრები, ფაქტობრივად, დებიუტანტებით დავაკომპლექტეთ. წინა წლების ჩემპიონებმა სპორტიდან ვერავითარი დახმარება რომ ვერ მიიღეს, ათლეტიზმს თავი დაანებეს, რადგან ოჯახი ჰყავდათ სარჩენი, და მუშაობა დაიწყეს. ვინც დასაქმებული არ იყო, ამერიკის კონსულმა მას შეჯიბრებაზე გასამგზავრებელი ვიზა არ მისცა. მაგალითად, ასე დაზარალდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ათლეტი, მსოფლიო ჩემპიონი, წლევანდელი მსოფლიო თასის მფლობელი და მრავალგზის რეკორდსმენი ზაურ ჯავახიშვილი, რომლისთვისაც მის მშობლიურ ქალაქ სიღნაღში ყარაულის ადგილიც კი ვერ გამოიძებნა. ათლეტიზმის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა ტროი ფორდმა ზაურს 2007 წლის საუკეთესო სპორტსმენისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზი გამოუგზავნა.

**– მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე თქვენი შარშანდელი გამგზავრება სავსე იყო კურიოზებით. წლევანდელმა სტუმრობამ როგორ ჩაიარა?**

– უსახსრობის გამო, სამწუხაროდ, წლეულს აგვისტოში ევროპის ჩემპიონატზე ვერ წავედით დანიაში. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა ნიკოლოზ სარალიძემ ყველაფერი გააკეთა, რათა მსოფლიო ჩემპიონატიც არ გაგვცდენოდა. გუნდი უმთავრესად, როგორც გითხარით, დებიუტანტებით შეივსო. მხოლოდ გერონტი ჯმუხაძე და ბექა მაზანიშვილი გახლდნენ გამოცდილები, ხოლო რამაზ აზარიაშვილმა, ალექსი ორკოდაშვილმა, ნიკა ვეფხვაძემ, კახაბერ ერგემლიძემ და მანუჩარ ჭინჭარაულმა პირველად გამოსცადეს თავიანთი შესაძლებლობები საერთაშორისო სარბიელზე.

ატლანტაში ნიუ-იორკის გავლით ჩავედით. აეროპორტში დაგვხვდნენ ჩვენი ლეგიონერები – მსოფლიო ჩემპიონები ბორის სარალიძე და ვეფხვია ჯმუხაძე, რომლებიც იქაური პროფესიული კლუბების ღირსებას იცავენ. მათ თავიანთი ხარჯებით ჩაგვიყვანეს ჩემპიონატზე და გზად რამდენიმე ქალაქიც დაგვათვალიერებინეს. ერთი სიტყვით, გამომგზავრებამდე გვიპატრონეს. მათ მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის.

ჯორჯიის დედაქალაქში ჩასვლისთანავე ორგანიზატორებმა ჯავახიშვილი, წინა წლების ჩემპიონები – ზურაბ ძამუკაშვილი, კობა ალუდაური, ხვიჩა მამედოვი, გიორგი მინდიაშვილი, ავთანდილ მამალაძე და სხვები მოიკითხეს. მიზეზი რომ გაიგეს, გულისტკივილით მოისაკლისეს მათი არყოფნა. ისიც შეიტყვეს, რომ დიდი გზა მანქანით გამოვიარეთ. პირდაპირი რეისით რატომ ატლანტაში არ ჩამოფრინდითო, – გვკითხეს. ბიჭები პირველად არიან ამერიკაში და ქალაქები დავათვალიერებინეთ-მეთქი, ვუთხარი.



– გასაგებია, შეჯიბრებაზე ტურისტები ჩამოგიყვანიათო, – ირონიულად ჩაიხითხითა ატლანტელმა „სკინმენმა“, რომელმაც ჩემპიონატზე მეათედ დაიმსახურა ოქროს მედალი ამოწევაში. ეს ფიცარნაგზე გამოჩნდება-მეთქი, ვუპასუხა...

მართლაც არნახულ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა ბიჭებმა – უმედლოდ არავინ დარჩენილა, თანაც ისე, რომ ყველა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ახალგაზრდებს შორის 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში რამაზ აზარიაშვილმა სამჭიდში 600 კილო დაძლია და მსოფლიო რეკორდით დაიკავა პირველი ადგილი. ამავე წონაში უფროსებს შორის მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ალექსი ორკოდაშვილი (სამჭიდიძ და ნიკა ვეფხვაძე (ჭოლჭიმი და ბიცეპსებით წონის აწევაძ, თანაც ნიკამ ბიცეპსებით 84 კილო დაიმორჩილა, რაც ახალი მიღწევაა.

110 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭოლჭიმი მოიგო კახაბერ ერგემლიძემ, ხოლო რეპში (ჭოლჭიმი გამეორებებითძ ჩემპიონობა წლევანდელი მსოფლიო თასის მფლობელმა ბექა მაზანიშვილმა მოიპოვა. მასვე ჩემპიონატის საუკეთესო სპორტსმენისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზი ხვდა.

საქართველოს ნაკრებს 125 კილოში ოქროს მედალი შესძინა ჭოლჭიმში მანუჩარ ჭინჭარაულმა. ამავე წონასა და სახეობაში ვეტერანთა შორის მეოთხედ გაიმარჯვა ზურაბ ჭავჭანიძემ. მანვე მსოფლიო რეკორდით მეორე ოქროს მედალი რეპში დაიმსახურა. ზემძიმე წონით კატეგორიაში ბიცეპსებით წონის აწევაში ტოლი არ ჰყავს სარეკორდო მაჩვენებლით გერონტი ჯმუხაძეს, რომელსაც 2003 წლიდან მსოფლიო ჩემპიონატებზე კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური არავისთვის დაუთმია. მართლაც, რომ საამაყო შედეგებია.

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: ნიკა ვეფხვაძე ასპარეზობისას; ტრიო ფორდი (დგას მარჯვნიდან მეორეძ საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად.**

№ 227. სამშაბათი, 20 ნოემბერი, 2007 წელი.

# კვალი საუკუნეში

● ფიქრობდა და ხედავდა, ხედავდა და სურათებს ფილმებად კინძავდა. ყველა ფილმიდან მთის მონატრება და ენერგია ასხივებდა, ფილმის გადაღება მისთვის ლოცვა და ბედისწერა იყო



**◎ გოდერძი ჩოხელის ხსოვნას**

**არ იყო მოულოდნელი მისი გარდაცვალება. ბოლო წლებში ძალიან დაჩაგრა ავადმყოფობამ. „ადამიანთა სევდის“ ავტორს, თვითონაც ნიადაგ სევდის მატარებელ კაცს, თითქოს აღარ დაედგომებოდა ამ გაველანებულ, ამ უზნეო საქართველოში... სიკვდილს ნატრობდა...**

**წავიდა, მარადისობას შეუერთდა უნიჭიერესი ქართველი მწერალი, პოეტი, დრამატურგი, კინორეჟისორი გოდერძი ჩოხელი, უდიდესი დანაკლისი განიცადა ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, საერთოდ, ქართულმა კულტურამ...**

# გუდამაყრელი მერვე სართულზე

**ხელის გაწვდენაზეა ჩვენი საცხოვრებელი კორპუსები დიღმის მასივში. გამოღმით მე ვარ, გაღმით კი – გოდერძი ჩოხელი თავისი ჯალაბით**

ჰოდა, ავად გამხდარა ჩემი მეზობელი. გადაველი, დავხედე.

ახლა არა მიშავს რაო, ეტყობა გავცივდიო, სიცხეც მქონდაო...

— ეეეე... წამხდარხარ, ხევსურო!..

— ისე, რომ იცოდე, მე გუდამაყრელი ვარ, შავი არაგვის ხეობიდან... მთლად ხევსური არ მეთქმის. ხომ გაგიგონია: „ბნელი ხარ გუდამაყარო, სიბნელე გატანს ძალასა, უსწავლელობის გულისთვის შვილი ემდურის მამასა“.

— ჩვენ კი „გაგვაფუჭა“ აქაურობამ და, რაც გინდა თქვი, ჩემო გოდერძი... სურდო და გრიპი ქალაქის მოგონილია.

— მართალი ხარ, მე ვერასოდეს შევეგუები ამ კედლებს, ამ მერვე სართულს, კომუნალურ ბინაში გამოკეტვას. ახლა, შეიძლება მითხრა — აღექი და წადიო, მაგრამ მთლად ასე ასადგომი და წასასვლელი კაციც არა ვარ. ის უნდა ვაკეთო, შეძლებისდაგვარად, რასაც ვაკეთებდი... თბილისი ყოფილა ჩვენი ბედისწერა...

ნინო — მელაშვილის ქალი — გოდერძის სათნო მეუღლე და ჩემი კოლეგა — „რაღაც-რაღაცეებს“ გვიწყობს მაგიდაზე.

გუდამაყრელი ამჯერად ვერ სვამს, მე მაძალებს. ვეუბნები გოდერძის:

—სამაგიეროდ, შენი მოღვაწეობით ხომ ეფერები შენს მთას, შენს მშობელს ადგილებს...

— მთა მაძლევს იმას, რასაც დღეს ჩემი შემოქმედება ჰქვია. მსაყვედურობენ ხოლმე — ისევ მთაზე წერ, ისევ მთაზე იღებ ფილმსო... მე იმათზე ვწერ, ვინც მთაში ცხოვრობს. მთაში მეტი სიწმინდეა, იქაურები ცოტათი უფრო ახლოს არიან ღმერთთან. მთა არ უნდა დაცარიელდეს. მისი ადათ-წესები არ უნდა გაქრეს... კერიის ჩაქრობა ადვილია, გაღვივებაა ძნელი... ცხოვრობენ აქა-იქ, რაღა თქმა უნდა, მოხუცები, და ამაგრებენ ერთმანეთს... ჩემი „სამოთხის გვრიტები“ სწორედ იმათზეა.

ნათქვამია: ბარში რომ ნამუსი დაიკარგებოდა, მთაში ეძებდნენო. მთა თუ დაცარიელდა, ვინღა შეინახავს ბარში დაკარგულ ნამუსს?

— „სამოთხის გვრიტებმა“, შარშან, ძაან გასახელა, ჩემო გოდერძი... სად მიიღო მთავარი პრიზი?

— ანაპის კინოფესტივალზე, „კინოშოკი“ ერქვა ფესტივალს... ამაზე ბევრჯერ ითქვა...

— ვიცი, ვიცი, როგორ არ ვიცი... უბრალოდ, ქალაქი ველარ გავიხსენე... ისიც ვიცი, ამჯერად „ლუკას სახარებას“ რომ იღებ.

— ემანდ, ბიბლიური ლუკას სახარება არავის ეგონოს, თუმცა, სარწმუნოებასთან ახლოსაა... ცოტათი ავტობიოგრაფიულიცაა... მოთხრობილია პატარა ბიჭის ამბავი, თუ როგორ ეძებს იგი ადგილს ურწმუნო საზოგადოებაში. ჩემი ლუკა, ჩემი უფროსი ვაჟიშვილი თამაშობს მთავარ როლს... კინო, ჩემო ვილენ, ჩემთვის ყველაფერია, იგი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი დიდი სასწაულია ამ ქვეყნად.

— ლიტერატურაზე დიდიც?

— არა, ლიტერატურა, რა თქმა უნდა, გვირგვინია.

— მე, პირადად, მოთხრობებით გაგიცანი. მახსოვს, „ცისკარი“ ხელიდან ხელში გადადიოდა შენი მოთხრობების გამო... პირში არ გეფერები...

—სხვათა შორის, მგონია, რომ ჩემი მოთხრობებიც კინომატოგრაფიულია, ხედვითი... აი, ახლახან ლექსების კრებული გამოვიდა... მოიცა, გაჩუქო...

* * *

შუქიც მოვიდა... ესე იგი რვა საათი გამხდარა. ალბათ, ლიფტი ამუშავდა. დავემშვიდობები ახლა მასპინძლებს და გადავალ ჩემს კორპუსში. ვინ იცის, იქნებ ჯერაც არ ჩაურთავთ დენი. ჰოდა, ავუყევი კიბეებს ნელნელა, სვენებ-სვენებით და გულში უნებურად გავიფიქრებ: „კი მაგრამ, გოდერძისთან რომ ჩართეს, ნეტა კაცი ჰყავს თელასში?“

**ზურაბ ქაფიანიძის ნაამბობი რამდენიმე დღის შემდეგ:**

**„გოდერძი ჩოხელი ბიძაშვილ-მამიდაშვილობით არ მოსულა ქართულ კინოში. თავისი ნიჭით მოვიდა, თავისი მოთხრობებით, ლექსებით მოვიდა და უამრავი რამ აქვს სათქმელი.**

**გოდერძი ჩოხელის „სამოთხის გვრიტები“ მსოფლიოს მოივლის, სახელსაც შემოიტანს და ფულსაც, ამიტომ უნდა დაფიქრდნენ ჩვენი ბიზნესმენები: დაუფინანსონ ფილმები ასეთ ნიჭიერ კაცს...**

**რომ იცოდე, რა ოჯახი აქვს! უმშვენიერესი, უსათნოესი რაჭველი ქალი, ორი ბოკვერი... მაგათი შეუღლების პირველი სადღეგრძელო მე დავლიე, სტუდქალაქში მოიყვანა ცოლი... დღეს ხომ ხედავთ, რა სიმაღლეზეა...**

თითქოს ის თქვა ჩემმა ზურამ, რაც მე გამომრჩა.

**ვილენ მარდალეიშვილი.**
1998 წელი.

# ეს სიკვდილი სიცოცხლეზე ლამაზია!

**გოდერძი ჩოხელის ყველაზე დიდი დარდი**

**ავადმყოფი გულაღმა იწვა და თვალგახელილი ფიქრობდა თავის მშვენიერ ქვეყანაზე, ფიქრობდა გუდამაყარზე და მთის ერთ პატარა სოფელზე, სადაც ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავია, სუფთა და ანკარა ცაა, სადაც თოვლში იასავით მოცახცახე დედის ლანდი ისევ ლოცულობს და მომაკვდავ შვილს ნაკადულებისა და ჩიტების ხმას უგზავნის...**

სადაც ავადმყოფი წევს, ფანჯრის მიღმა წვიმის თალხი ჩამოშლილა. 15 წლისწინანდელივით ზარბაზნები აღარ ისვრიან, მაგრამ მწერლის გული ქართველების დაუნდობელ სისასტიკეზე გოდებს — ძაძუეთში შეგდებულ გაზის ხელყუმბარას და დაღვრილ სისხლს განა ზარბაზანზე ნაკლები ხმა აქვს?

დაყოფილ-დაწეწილი ქვეყნის დარდი მჭამსო... ის, რომ ერთიანობისა და ურთიერთგაგების მადლთან ერთად ერთმანეთის სიყვარულიც დავკარგეთო... მტრისგან რომ იყოს, არც დამწყდება გულიო, მტერია და უნდა გიმტროს, შენი სისხლი რომ გიღალატებს და გაგიბზარავს სულს, იმ გაბზარულის გამთელება იოლად არ იქნებისო...

გოდერძი ჩოხელის ყველაზე დიდი დარდი საქართველო იყო. მთის წიაღიდან განგებას ჩვენთვის საგანგებო მისიით თუ გამოეგზავნა — სიყვარულისა და ურთიერთდანდობისთვის... „ადამიანთა სევდას“ მიგვაახლა, გუდამაყრის კოსმიური გადასახედიდან სიცოცხლისა და სიკვდილის დიდი საიდუმლო ამოგვიხსნა: სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდაო, სიკვდილი? სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდაო...








ფიქრობდა და ხედავდა, ხედავდა და სურათებს ფილმებად კინძავდა. ყველა ფილმიდან მთის მონატრება და ენერგია ასხივებდა, ფილმის გადაღება მისთვის ლოცვა და ბედისწერა იყო. კინო აცოცხლებდა... და იქმნებოდა ხელიხელსაგოგმანებელი „ადგილის დედა“, „ბაკურხეველი ხევსური“, „აღდგომა“, „ადამიანთა სევდა“, „წერილი ნაძვებს“, „ცოდვის შვილები“, „სამოთხის გვრიტები“, „ლუკას სახარება“...

ერთ-ერთი ფილმის გადაღების დროს თოვლიანი კადრები სჭირდებოდა, მარტოდმარტო გაუყვა მთის ბილიკს, ჩოხის წმინდა გიორგის შესთხოვა ... თოვლი ... და სასწაული მოხდა, მართლაც, მოვიდა თოვლი! „მაშინ, ჩემში უცნაურ ძალას ვგრძნობდი, ისეთს, შეუძლებელს რომ შეგაძლებინებს“. მაშინ არც სიკვდილის ეშინოდა. სულნათელი რეზო ინანიშვილი ხშირად ეუბნებოდა, სასიკვდილოდ ნუ იმეტებ შენი მოთხრობების გმირებს, ცოცხალი დატოვე, ან სიკვდილი რატომ გიყვარს, რა შესაყვარებელიაო. ის კი უხსნიდა, რომ სიკვდილში ცუდი არაფერია, გმირებს კი შეგნებულად ვიმეტებ, რათა ასე უფრო მეტად დაგვწყდეს გული და სიცოცხლე შეგვიყვარდესო... სიცოცხლე და სიკვდილი ძმები, ღვთის შვილები არიანო... ამიტომაც არის, რომ ერთ-ერთ ფილმში თეთრჩოხიან ულამაზეს ჭაბუკად გვევლინება სიკვდილი... გოდერძი ჩოხელის სიკვდილი ისეთი ლამაზია, რომ მასზე ხელის აღმართვა არ მოგინდება... სიცოცხლეზე ლამაზია ეს სიკვდილი!

და ეს რწმენა, მშობლიური მთების პირველყოფილი სიწმინდე აძლებინებდა, ვერ ჩაეწერა აქაურ სამყაროში. ჩამოვიდოდა და ორ დღეში ისევ მთაში გარბოდა, სადაც დედის გრძნეული გული ელოდებოდა. დედის გარდაცვალების შემდეგ გაწყდა კავშირი მთასთან, უბედურებაც აქედან დაიწყო... სულიერ საზრდოს ველარსად პოულობდა, რასაც დაერთო საქართველოს ტკივილი, ომები და სისხლისღვრა. „წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის კავშირი გაწყდა. ქართველი მარტო დღევანდელობით ცხოვრობს. საქართველო კი — წარსული, აწმყო და მომავალია, როგორც ჯაჭვი, ერთი მთლიანი ორგანიზმი და რომელიმეს გამოკლებით ამ მთლიანობის ჰარმონია ირღვევა. ჰარმონიადარღვეულ საქართველოს კი საქართველო აღარ ჰქვია“,— მითხრა გულდაწყვეტით... მაშინ ვიგრძენი, რომ მის სულშიც ჩამწყდარიყო ნათელი სიმი, რაც აწერინებდა, ძალას ჰმატებდა... მაგრამ ქართული მიწის შვილი იყო და არც კი უფიქრია მას განრიდებოდა, სადმე, უცხო ცის ქვეშ ეძებნა კეთილდღეობა. ქველმოქმედ მამულიშვილთა შემწეობით ედგა სული, საყოველთაო გულგრილობაში ჩაკარგულს არ ღირსებია არც ერთი ლიტერატურული პრემია, და მაინც „შემაძრწუნებლად ბედნიერი“ იყო ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე...

ინგრეოდა მამული და გოდებდა სული, დარდი გაზრდილიყო. სამყაროსხელა თვალები ჰქონდა... ის კი იწვა, და სიკვდილის მოახლოებას ნატრობდა... უნიჭობა და უღმერთოება ზეობდა ირგვლივ, და არ იცოდა საქართველომ, რომ წვიმით ჩამოთალხულ ცისქვეშეთში გოდერძი ჩოხელი ფიროსმანის ბედს იზიარებდა... 15 წლის წინათ, ძმათამკვლელ ომში და განუკითხაობაში, ახალი წლის დამდეგს მიებარა მიწას რეზო ინანიშვილი, ისე რომ, ვერ გაიგო საქართველომ, რამხელა ადამიანი დაკარგა... ათეული ადამიანი ესწრებოდა მის დაკრძალვას. ქართველების ურთიერთსიძულვილი მწერლის გულმა ვერ აიტანა. „სული ხედავდა დანგრეულ და გადამწვარ ქალაქს, რომლის ქუჩებშიც იარაღიანი ხალხი დარბოდა და ერთმანეთს ხოცავდა“, — წერს გოდერძი ჩოხელი მისდამი მიძღვნილ მოთხრობაში.

გული გაუხეთქესო,— თქვა ვიღაცამ, როცა გოდერძის გარდაცვალება გვაუწყა ტელევიზიამ... ვერც მისმა გულმა აიტანა უსამართლობა და ქართველების უმოწყალო დარბევა... სიკვდილს შესთხოვა, განმარიდეო ამ სისასტიკეს...

იმ დიდი საქართველოდან დაგვყურებს ახლა. ერთხელ მითხრა, ვოცნებობ, იმქვეყნად ვნახო ჩემი საყვარელი ადამიანები: თამარ მეფე, ვაჟა ფშაველა და ბებიაო... ის უკვე მათთან ერთად არის და მათთან ერთად ივედრება — ღმერთო, სამშობლო მიცოცხლეო...

ჩვენი კი იქნებ ჩვენი გულგრილობით განგების ნებით მეორედ მოვლენილ ვაჟას ვერ ვუპატრონეთ?

**თამარ შაიშმელაშვილი**

№ 227. სამშაბათი, 20 ნოემბერი, 2007 წელი.

# სხვადასხვა

● ფილადელფიელმა ექიმმა სტამინს ფფირტმა სცადა, დაემტკიცებინა, რომ ყვითელი ციებ-ცხელება გადამდები არ იყო, ამიტომ სვამდა ამ ავადმყოფობით დაავადებულთა ახალთახალ ნარწყევს. ეს იყო 1804 წელს, ფფირტი არ დაავადდა და განაცხადა, რომ თავისი სიმართლე დაამტკიცა



◉ ანტიმეცნიერება

# გენიალობიდან — უგუნურებამდე

## შედგენილია მეცნიერთა ყველაზე „სულელური" ექსპერიმენტების ნუსხა

**რამდენად შორს შეიძლება წავიდნენ მეცნიერები, რათა თავიანთი ინტერესები დაიკმაყოფილონ? სად მთავრდება გენიალური ექსპერიმენტი და იწყება სიგიჟე? ამ კითხვებს ერთგვარად უპასუხებს იმ უგუნური ექსპერიმენტების სია, მეცნიერების სახელით რომ კეთდებოდა.**

მეცნიერული უცნაურობების ეს თავისებური ნუსხა შეადგინა პროფილურმა ჟურნალმა New Scientist. მასში შევიდა 10 ძნელადდასაჯერებელი ექსპერიმენტი.

პირველ ადგილზე კონკურენციის გარეშეა უორენ ტომასი, ოკლაჰომა-სიტის ზოოპარკის Lincoln Park დირექტორი, რომელმაც 1962 წლის აგვისტოში, პარასკევ დღეს ტყვია დაახალა სპილო ტასკოს, ჩახმახს რომ გამოჰკრა, ზუსტად მოარტყა გავაში. ვაზნა გამოტენილი იყო ჰალუციაგენური პრეპარატით LCD, რაც დაუყოვნებლივ მოხვდა ცხოველის სისხლში. ამ პრეპარატის დოზა 3 ათასჯერ აღემატებოდა იმას, რასაც ზოგიერთი ადამიანი ვითომდა „გასართობად" ღებულობს. შედეგმაც არ დააყოვნა. ტასკო რამდენიმე წუთს დარბოდა ვოლიერში და ხმამაღლა ღრიალებდა. შემდეგ დაეცა და სული განუტევა, — ამას წერს ბრიტანული გაზეთი „გარდიანი".

ტომასი და მისი კოლეგები თავს იმით იმართლებდნენ, რომ თითქოს ასეთი სამწუხარო შედეგი იმ ექსპერიმენტმა გამოიწვია, რითაც უნდა დაემტკიცებინათ, რომ სწორედ LCD იწვევს იმ უჩვეულო სინდრომს, რომლის დროსაც სპილოები აგრესიულად იქცევიან.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარდა არანაკლებ შთამაგონებელი ექსპერიმენტი. ამ დროს ცდა ადამიანებზე ტარდებოდა. 10 ჯარისკაცი თვითმფრინავში ჩასვეს კალიფორნიაში ფორტ-ჰანტერ-ლაგეტის აეროდრომზე. მათ ეგონათ, რომ ჩვეულებრივ სასწავლო დავალებაზე აგზავნიდნენ. 1,6-კილომეტრიან სიმაღლეზე თვითმფრინავი უცებ გადაიხარა და ვარდნა დაიწყო. სალონში რადიოთი გაისმა პილოტის შეძახილი: „ავარიაა. ერთი ძრავა ჩაქრა. ბორბლები არ გამოდის. ვეცდები ოკეანეზე დაშვებას".

ჯარისკაცები მიხვდნენ, რომ მათი გადარჩენის შანსი დიდი არ იყო. ამ დროს სტიუარდმა მათ ჩამოურიგა დაზღვევის ხელშეკრულების ბლანკები და შევსება სთხოვა, თან აუხსნა, რომ დაღუპვის შემთხვევაში ყველაფერი გაფორმებული უნდა ყოფილიყო.

ჯარისკაცებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ მათ არაფერი ემუქრებოდათ, თუმცა ეს იყო მხოლოდ ექსპერიმენტი, რათა გაერკვიათ, თუ ძლიერი სტრესი როგორ მოქმედებს ადამიანის კოგნიტიურ შესაძლებლობაზე. სწორედ უნარ-შესაძლებლობათა ტესტირებისთვის იყო საჭირო ბლანკების შევსება. როგორც კი ბოლო ჯარისკაცმა ეს მოათავა, პილოტმა განაცხადა, რომ მან მხოლოდ იხუმრა.

პილოტის შემდეგ ბედზე არაფერია ცნობილი. შემდეგ ცდილობდნენ ექსპერიმენტის გამეორებას „მოხალისეთა" ჯგუფზე. მაგრამ საიდუმლო გამჟღავნდა.

ერთ-ერთი ყველაზე კოშმარული ექსპერიმენტი, ამ ნუსხაში რომ მოხვდა, განახორციელა საბჭოთა ქირურგმა ვლადიმერ დემიხოვმა. 1954 წელს მან ფართო საზოგადოებრიობას წარუდგინა ორთავიანი ძაღლი, სამეცნიერო ლაბორატორიაში რომ შექმნეს: ლეკვის თავი, კისერი და წინა თათები გადაუნერგეს მოზრდილ გერმანულ ნაგაზს. როგორც ამ ამბის მომსწრე ჟურნალისტები აღნიშნავდნენ, ლეკვის მოკვეთილი კისრიდან რძე მოწვეთავდა, როცა ის მას სვლეპდა. თანაც ზოგჯერ ორივე თავი ჩხუბობდა. ნაგაზს ლეკვის მოშორება უნდოდა. იმ უბედურმა არსებამ ექვსი დღე იცოცხლა. მომდევნო 15 წელიწადში დემიხოვმა ექსპერიმენტი 19-ჯერ გაიმეორა. ერთ-ერთი ექსპერიმენტის შედეგმა ერთი თვე იცოცხლა. საზღვარგარეთ სსრ კავშირის ეს ექსპერიმენტი სერიოზულად არ აღუქვიათ, ის სარეკლამო იონბაზობად მიიჩნიეს.

ამ სიაში მოხვდა ადამიანის ბუნების საიდუმლოებათა ამოცნობის რამდენიმე ცდაც. კლარენს ლიუბამ, ოჰაიოს შტატის იელოუ-სპინსელელმა ფსიქოლოგმა გადაწყვიტა, გაერკვია, თუ რატომ ვიცინით, როცა გვიღიტინებენ — ეს პიროვნითი რეფლექსი იყო, თუ უპირობო. ცდას ის თავის ახალშობილ ვაჟიშვილზე ატარებდა, შემდეგ კი ქალიშვილზე.

ლორენს ლეშენი კი, ვირჯინიელი სწავლული, 1942 წელს იმ ოთახის შუაში რომ იდგა, სადაც ბიჭების ჯგუფს ეძინა, რამდენიმეჯერ იმეორებდა: „ჩემი ფრჩხილები საშინლად მწარე გემოსია". მას უნდოდა გარკვევა: შესაძლებელი იყო თუ არა ჰიპნოპედიის მეთოდით ბავშვებში ფრჩხილების კვნეტის ჩვევის აღმოფხვრა.

ფილადელფიელმა ექიმმა სტამინს ფფირტმა სცადა, დაემტკიცებინა, რომ ყვითელი ციებ-ცხელება გადამდები არ იყო, ამიტომ სვამდა ამ ავადმყოფობით დაავადებულთა ახალთახალ ნარწყევს. ეს იყო 1804 წელს, ფფირტი არ დაავადდა და განაცხადა, რომ თავისი სიმართლე დაამტკიცა. თუმცა შემდეგ მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ყვითელი ციებ-ცხელება ძალზე გადამდებია, მაგრამ ის მხოლოდ მაშინ გადადის, თუ მისი გამომწვევი ბაქტერია სისხლში მოხვდება — მაგალითად, კოღოს კბენის შემდეგ.

ასევე არაკორექტულად მიაჩნიათ კალიფორნიელი რობერტ კარნარის ექსპერიმენტი — ის 1930 წლიდან ცდილობდა, გაეცოცხლებინა მკვდარი ცხოველები, რისთვისაც მათ საქანელაზე აქანავებდა. ზოგიერთი მათგანი ცოტახნით მართლა ცოცხლდებოდა, მაგრამ ირკვეოდა, რომ მათ ტვინი ჰქონდათ ძალზე დაზიანებული.

რათა შეემოწმებინათ, ადამიანს შეუძლია თუ არა ხელისშეშლელ პირობებში ძილი, მოხალისეებს ქუთუთოებს სალბუნს აკრავდნენ, რათა თვალები არ დაეხუჭათ, თანაც თვალებზე მძლავრად აშუქებდნენ. აღმოჩნდა, რომ 12 წუთის შემდეგ გამოსაცდელებმა ჩათვლიმეს.

და კიდევ — ადამიანებს სთხოვდნენ ნიშადურის სპირტი შეესუნთქათ, ხელები ბაყაყებით სავსე ვედროში ჩაეყოთ და თან პორნოფილმებისთვის ეცქირნათ. მხოლოდ ერთი რამ გამოაკვლიეს — ზიზღს სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მიმიკით გამოხატავდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უცნაურობათა სიაში აღმოჩნდა სექსუალური თემაც. სწავლობდნენ რა ინდაურების სქესობრივ აღგზნებულობას, პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის მკვლევარები ძალზე დააინტერესა იმ ფაქტმა, რომ ფრინველები ცდილობდნენ იმ მულიაჟებთან შეწყვილებასაც, ძალზე რომ წააგავდნენ ნამდვილ მამალ ინდაურებს, მაშინაც კი, როცა სწავლულები მულიაჟებს შლიდნენ. აღმოჩნდა, რომ მამალი ინდაურები აღეგზნებიან მაშინაც კი, როცა მათ მხოლოდ ჯოხზე წამოცმულ თავს დაანახვებდნენ ხოლმე (თუმცა უთავო სხეულისადმი გულგრილნი რჩებოდნენ).

ალბათ სწორედ ასეთი მეცნიერული აღმოჩენებისთვის ანიჭებენ ხოლმე ანტინობელის პრემიას.

**უცხოური პრესის მიხედვით**



## გოდერძი ჩოხელის ხსოვნას

# დიდი დანაკლისი



**ქართულმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა — უდროოდ წავიდა ჩვენგან ნიჭიერი მწერალი და კინორეჟისორი გოდერძი ჩოხელი.**

**ქართულ კულტურაში კიდევ ერთი ნიშა დაცარიელდა, რომელსაც ძნელად თუ შეავსებს ვინმე.**

**გუდამაყრელი ბიჭი სკოლის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა თბილისში და სწავლა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე განაგრძო. იგი ქართველ რეჟისორთა 80-იანელთა თაობას მიეკუთვნებოდა. იმთავითვე აშკარა გახდა, რომ ქართულ კინოში გამოჩნდა კიდევ ერთი ახალგაზრდა რეჟისორი, რომელიც ღირსეულად გააგრძელებდა ეროვნული კინემატოგრაფის ტრადიციებს და ამავე დროს, საკუთარი ხედვით, პრობლემატიკით, რწმენასა და ზნეობრივი საკითხებისადმი პირადული დამოკიდებლობით, შინაგანი სულიერებით კიდევ უფრო გაამდიდრებდა მას.**

**მთაში გაზრდილი ახალგაზრდა რეჟისორის მიერ ეკრანზე ასახული დრამატული ყოფა თავდაპირველად მაყურებლისათვის მოულოდნელი, და ნაკლებად ნაცნობი აღმოჩნდა. მაგრამ ძალიან მალე მისმა ფილმებმა საყოველთაო აღტაცება და სიყვარული დაიმსახურა. გ. ჩოხელის შემოქმედებამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გამოხატვის ფორმათა მრავალფეროვნებით, თემატური და სტილისტური სისადავით, უშუალობითა და გულწრფელობით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან შეძლო მისთვის კარგად ნაცნობი ყოფის, მკაცრი სინამდვილის პოეტურ პირობითობაში მოქცევა და საკუთარი მხატვრული სამყაროს შექმნა.**

**მიუხედავად იმისა, რომ 80-იანი წლების ქართული კინოსათვის იგავისა და ზღაპრის ელემენტები არ წარმოადგენდა მხატვრულ სიახლეს, გოდერძი ჩოხელის ფილმებში — „ადგილის დედა", „ბაკურხეველი ხევსური", „ადამიანთა სევდა", „წერილი ნაძვებს", „აღდგომის ბატკანი", „უცხო", „ცოდვის შვილები", „სამოთხის გვრიტები", „ლუკას სახარება", „მიჯაჭვული რაინდები" — შემოთავაზებული ზღაპრული გადახვევებით სავსე პოეტური სამყარო ათავისუფლებდა მაყურებელს ნებისმიერი კონკრეტიკისაგან და თხრობის სრულიად განუსაზღვრელ სივრცეს სთავაზობდა მას.**

**ადამიანის ყოფა გ. ჩოხელის ფილმებში მუდმივ შინაგან ბორგვასთან, ძიებასთან, რწმენასთან არის დაკავშირებული. თუმცა, მარტოობისა და მარტოსულობის თემა მეტ-ნაკლებად ყოველთვის იგრძნობა მის ნამუშევრებში. მართლაც, რაც უფრო პოეტურ, ჰარმონიულ გარემოში ვხედავთ „ზღაპრიდან რეალობაში მოსულ" მის გმირს, მით უფრო ტრაგიკულად აღიქმება „ბაკურხეველი ხევსურის" ფინალი.**

**სამწუხაროდ გოდერძი ჩოხელმა ვერ შეძლო თავისი ნიჭისა და შესაძლებლობის სრული გამოვლენა. მაგრამ ის, რაც მან მოასწრო, ქართული კულტურის მნიშვნელოვან შენაძენად დარჩება.**

**დიდი გულისტკივილით ვემშვიდობებით გოდერძის ქართველი კინემატოგრაფისტები, ნათელი იყოს მისი გზა მუდმივ სასუფეველში.**

**საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი**

# ამაყი მთების შვილი

**გარდაიცვალა ბრწყინვალე მწერალი, კინორეჟისორი და სცენარისტი გოდერძი ჩოხელი, რომელსაც მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია საუკეთესო სცენარისა და რეჟისურისათვის, აგრეთვე საერთაშორისო ფესტივალების ჯილდოები.**

**ამაყი მთების შვილი ჩუმად, უხმაუროდ ემსახურებოდა თავის ქვეყანას, წერდა ადამიანთა სევდაზე, ადგილის დედაზე, მიჯაჭვულ რაინდებზე და სამშობლოს უკეთეს მომავალზე ოცნებობდა. მან ქართულ ხელოვნებაში დიდი კვალი დატოვა.**

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება გამორჩეული პიროვნების გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.**

**მერაბ ბერძენიშვილი**

◉ ინფორმაცია

## კანონიერი ქურდი სასჯელს უკრაინაში მოიხდის

უკრაინის ტერიტორიაზე **დაკავებულ საქართველოს მოქალაქეს ავთანდილ ანთაძეს ადგილობრივმა სასამართლომ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.** ანთაძე, რომელიც კრიმინალურ სამყაროში „კანონიერი ქურდის" ავტორიტეტით სარგებლობს, სასჯელს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოიხდის. ანთაძე სამართლდამცავებმა ქალაქ ვინიცაში იანვარში დააკავეს. ჩხრეკისას მას არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, 10 გრამი ნარკოტიკული საშუალება ამფიტამი და ყალბი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ამოუღეს. დაკავების შემდეგ დაცვის მხარის ინიციატივით სასამართლო სხდომები რამდენჯერმე გადაიდო. აღსანიშნავია, რომ ანთაძემ „კანონიერი ქურდის" წოდებაზე უარი განაცხადა. იგი არაერთხელ ნასამართლევია და გისოსებს მიღმა 25 წელი აქვს გატარებული. ბოლოს იგი 2004 წელს გაათავისუფლეს და მას შემდეგ უკრაინის ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# ბოლო გვერდი

● ვერც ერთმა მონაწილემ საპროტესტო შეკითხვაც ვერ გაბედა: ბიზნესმენები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პირველი პირის თვალში უკეთ გამოჩენაში. პედაგოგი ქალბატონები იყვნენ და — თვალებში შესციცინებდნენ საყვარელ ქვეყნის მეთაურს



◉ რეპლიკა

## შვიდი ნოემბრის ცხრა აპრილზე

**ავად და შავად გათენებულ-დაღამებული 7 ნოემბრის შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტმა, თუ არ მეშლება, ორი საჯარო შეხვედრა გამართა, საჯარო, მაგრამ არა საჯაროო (სადაც ძალოვანთ გაუჯავრდებოდა), უფრო საპიარო: ბიზნესმენებთან და ერთ-ერთი სკოლის პედაგოგებთან.**

არადა, მე გულუბრყვილოს მეგონა, რომ მომხდარს რაღაც ფორმით შეიცხადებდა: ძალოვანებმა უფლებამოსილებას გადაამეტესო, ესა და ეს შეეშალათო, მსგავსი ინსტრუქციები არა ჰქონიათო. ჩემს მიამიტობაში კიდევ უფრო შორს წავედი და ვფიქრობდი — შვიდი ნოემბრის უბედურებას ვანო მერაბიშვილს შეახოცავს, მოხსნის-მეთქი. გაგიგონიათ?...




თაურს. როგორ არ გამხსენებოდა 1989-ის 9 აპრილს მერე მოსკოვიდან თბილისში მოვლინებულ ორ პოლიტბიუროს წევრთან შეხვედრებზე დამხვდურთა გაბედული, მწვავე გამოსვლები, როცა ჩამოსულთ პირში ყველაფერი მიახალეს, რასაც ფიქრობდნენ.

ახლა? „სწორედ მონა ვარ მაწანწალა და ყურმოჭრილი" — მგონი ასე იწყება ჰამლეტის ერთ-ერთი მონოლოგი...

არც ერთზე, სიტყვა რა არის, სიტყვაც არ დასცდენია მომხდარი ტრაგიკული ამბების გამო. სხვა ხელისუფალთა, ზოგთა, ის მაინც თქვეს — არასასიამოვნო სანახავი იყოო, მძიმე საყურებელი იყოო. ამან — ნურას უკაცრავად (იმისი საყვარელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ), ვითომც ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო.

იმ ორი შეხვედრის მეორე გამაოგნებლობა ის იყო, რომ ვერც ერთმა მონაწილემ საპროტესტო შეკითხვაც ვერ გაბედა: ბიზნესმენები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პირველი პირის თვალში უკეთ გამოჩენაში. პედაგოგი ქალბატონები იყვნენ და — თვალებში შესციცინებდნენ საყვარელ ქვეყნის მე-

ჩემი „მონოლოგიც" მოისმინეთ: ეს წლევანდელი ნოემბრის შვიდი, საუბედუროდ, არ იყო მშვიდი: ცრემლდენი გაზით, ხელკეტით თუ რეზინის ტყვიით მომიტინგეებს ულმობლად შლიდით...

**თამაზ ეზანოიძე**

◉ ინფორმაცია

## მომიტინგეების დასაშლელად აკუსტიკური იარაღიც გამოიყენეს

**ტელეკომპანია „ენ-ტე-ვე"-ს მტკიცებით, თბილისში 7 ნოემბერს სპეცრაზმელებმა აკუსტიკური იარაღი გამოიყენეს.**

რუსული მედიისთვის თბილისში 7 ნოემბერს განვითარებული მოვლენები კვლავ მთავარ თემად რჩება. „ენ-ტე-ვე"-ს გადაცემა „იტოგოვოე პროგრამა"-ში გასული რეპორტაჟის ავტორი, ინკოგნიტო ექსპერტის მონაცემებზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ სამხედრო ჯიპებზე დამონტაჟებული მრგვალი დანადგარები, სერიოზული აკუსტიკური იარაღია, რომელსაც აშშ-ში აწარმოებენ.

აკუსტიკური იარაღის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები თავისა და ყურების ძლიერ ტკივილს განიცდიან, შემდეგ კი, გარკვეული ფსიქიკური აშლილობაც აღენიშნებათ, — ამტკიცებს „იტოგოვოე პროგრამა"-ს რეპორტიორი.

**ინტერპრესნიუსი**

## როგორ დაეპატრონა სკოლის დირექტორი მიწის სავარგულებს?

**გუშინ ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა.**

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ხელისუფლებამ სოფლის სკოლის დირექტორს ლორიკ ჯალაღონიას სოფელში არსებული 135 ჰექტარი სავარგული უკანონოდ მიჰყიდა.

მოსახლეობა სკოლის დირექტორისგან პასუხი მიღებას შეეცადა, თუმცა ჯალაღონია მათ არ შეხვდა. აქციის მონაწილეებმა პრეზიდენტის სახელზე სპეციალური მიმართვა შეიმუშავეს.

მოსახლეობა პრეზიდენტისგან მიწების აუქციონზე გაყიდვის საკითხის პირად კონტროლზე აყვანას ითხოვს.

ადგილობრივი ხელისუფლება აქციის მონაწილეთა ბრალდებებზე კომენტარს არ აკეთებს.

## სავარდო ქუთაისი ნაგავს მიაქვს

**ქუთაისში დასუფთავების პრობლემა კვლავ აქტუალურია. მაისურაძის ქუჩიდან ნაგავი უკვე სამი თვეა არ გაუტანიათ. მაღალსართულიან კორპუსებში ე.წ. ბუნკერები გადავსებულია. ანტისანიტარიის კერად ქცეული პასილოკის უბნის მოსახლეობამ დახმარებისთვის ქალაქის მერიას რამდენჯერმე მიმართა, თუმცა უშედეგოდ.**

ქალაქის დასუფთავებაზე გამოცხადებული ტენდერის შედეგები ერთი კვირის წინათ გაირკვა და „ქალაქსერვისთან" ერთად ქუთაისში დასუფთავების ახალი კომპანიაც შემოვიდა. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში უკვე განთავსდა ახალი ურნები, თუმცა გარეუბნები კვლავ უყურადღებოდ რჩება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ ინფორმაცია

## სათბობი შეშის ვაუჩერების გაცემა დაიწყო

**პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს რეგიონებში მცხოვრები 900 ათასი ოჯახი სათბობი შეშის ვაუჩერს მიიღებს. ამის შესახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დავით ჩანტლაძემ განაცხადა.**

ჩანტლაძის თქმით, ვაუჩერი ერთჯერადია და მისი გამოყენება 2012 წლამდე იქნება შესაძლებელი.

— ჩვენ მობილიზებულნი ვართ იმისთვის, რომ ყველა ოჯახმა ზამთარი თბილად გაატაროს. თითოეული ვაუჩერით გათვალისწინებულია 5 კბმ მოცულობის შეშის დარიგება. თუ ოჯახს უკვე მომარაგებული აქვს შეშა მას ვაუჩერის გამოყენება მომავალ წლებშიც შეეძლება, — განაცხადა ჩანტლაძემ.

მისივე თქმით, ვაუჩერი თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და ფოთის გარდა საქართველოს ყველა რეგიონში დარიგდება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ ესეც ხუმრობით

## დიდი წინაპ(ი)არი

*პრეზიდენტებსაც ცხოვრება აქვთ განა იოლი.*
*დრო დადგა, ხმობა წინაპართა გახდა საჭირო.*
*დიდი ბებია რომ ჰყოლია ბაგრატიონი —*
*თუ არ ირწმუნე, ვისთან გინდა გაასაჩივრო?..*
*...უფრო სიღრმეში რომ წავიდეთ, თუა ღვთის ნება,*
*ალბათ, ბურბონ-სტიუარტიც მოიჩხრიკება!..*

**თამაზ ილმელი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.

◉ ანეკდოტები

— გუშინ დაშას ვაკოცე! — ეუბნება პეტკა ძმაკაცს.

— ყოჩაღ, ძმაო! აბა, რომ ამბობდი, არ ვსვამო?

* * *

ხდება ხოლმე, უყურებ უფროსს და ფიქრობ, როგორ შეაფურთხო სახეში ისე, რომ არ ეწყინოს...



* * *

პატარა მიხო არაფრით არ იძინებს.

— რა ვქნა, კაცო, რამე ხომ არ ვუმღერო? — ეკითხება მარო მამამისს.

— იქნებ ჯერ მოფერება გეცადა...

* * *

უწოდე საკუთარ თავს გენიოსი და უამრავ გენიალურ რამეს გაიგებ შენზე.

* * *

არაფერი ისე არ ზრდის ქვეყანაში მაკულატურის მოცულობას, როგორც საარჩევნო კამპანია.

* * *

ამჟამინდელი დროების განსაკუთრებულობა ის გახლავთ, რომ უსაქმურად უკვე ითვლება ის სტუდენტი, რომელიც ყველა ლექციას ესწრება.

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.